პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

577/3 № 7443
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული საქართველო

№ 27 (1456), პარასკევი, 2 ივლისი, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

ხალხის კეთილდღეობის სამსახურში

ჩვენი ხალხის ყოველდღიური ცხოვრება დიდი და სახელოვანი საქმეებისათვის, ნოვატორული გარდაქმნებისათვის დაუცხრომელი ბრძოლის პათოსით არის აღსავსე. ყოველი საათი და დღე ამდიდრებს სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის საუნჯეს, ახალი საზოგადოების მწვერვალებს გვაახლოებს; სოციალურ და ეკონომიურ გარდაქმნათა ამ დიად პროცესში სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ყალიბდება ახალი სამყაროს ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი ადამიანის სახე, ადამიანისა, რომელიც შთაგონებულია მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი იდეებით და მუდამ მზად არის მთელი სიცოცხლე დაუზოგავად და უყოყმანოდ მოახმაროს ხალხისა და სამშობლოს ბედნიერებას.

კომუნიზმის აქტიური და შეგნებული მშენებელი ახალი ადამიანი სოციალისტური საზოგადოების ყველაზე ძვირფასი მონაპოვარია. კომუნისტური პარტია დაუღალავად ზრუნავს ხალხის კეთილდღეობის დონის განუხრელი ამაღლებისა და მისი სულიერი ძალების სრული გაფურჩქვნისათვის. ამ ზრუნვის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული დადგენილებები და ღონისძიებები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ.

ჩვენი პარტია ახალი საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას განუყრელად აკავშირებს მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებასთან. თავის გადაწყვეტილებებში იგი აღნიშნავს, რომ კარგად მოწყობილი ყოფაცხოვრება, მომსახურების მაღალი კულტურა, მშრომელთა საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილება ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას, ქვეყნის მატერიალური და შრომითი რეზერვების უფრო რაციონალურად გამოყენებას, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დოვლათის სიუხვისა და ადამიანთა კომუნისტური აღზრდისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს მიეძღვნა საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ამ დღეებში დამთავრებული მეხუთე სესიის მთელი მუშაობა. სესიამ განიხილა რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის და სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების ანგარიში.

მოხსენებები, დეპუტატების სიტყვები და სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გამსჭვალულია მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შეუნელებელი აღმავლობის ინტერესებით. სესიამ აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში თვალსაჩინო წარმატებები იქნა მოპოვებული. მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კულტურა. ამასთან ერთად, სესიამ ხაზი გაუსვა ჯერ კიდევ არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. განსაკუთრებით დაბალია სოფლის მოსახლეობის მომსახურების დონე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ რესპუბლიკის საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები, ადგილობრივი საბჭოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სახალხო მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას და სუსტად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებსა და რეზერვებს.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში მშრომელთა კეთილდღეობის დონის ამაღლებას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირეულად გაუმჯობესებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. სახალხო მეურნეობის ამ დარგის განვითარებაში უზრუნველობის გამოჩენა ყოვლად მოუთმენელია, რადგან ამ საქმეში უზრუნველობა ხელს უშლის შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას, მატერიალური და კულტურული დოვლათის სიუხვის შექმნას, ახალი ადამიანის სულიერ ჩამოყალიბებას.

ადამიანის ბედნიერებისათვის ზრუნვა ჩვენი საზოგადოების წმინდათაწმინდა მოვალეობაა. საბჭოთა მწერლობა თავის შემოქმედებით შთაგონებას ხალხის კეთილდღეობისათვის სამსახურში პოულობს. ამიტომ არის იგი ყველაზე იდეური, ყველაზე ჰუმანური მწერლობა.

სესიის მიერ მიღებული დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში შემოქმედებითი ორგანიზაციების როლი და ამოცანები თვალსაჩინოა. მათ ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი მშრომელთა საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლას, კიდევ უფრო ფართოდ უნდა გამოეხმაურონ თანამედროვეობის აქტუალურ თემებს და სრულყოფილად ასახონ კომუნიზმის შეგნებული მშენებელი საბჭოთა ადამიანის მდიდარი და ლამაზი სულიერი სამყარო.



მეტეხი.

ფოტო ს. მამასახლისისა.

ცნობები მოსკოვიდან

„აკაკი წერეთელი" საკავშირო რადიოში

ამ დღეებში მოსკოვის რადიოს ერთ-ერთი ლიტერატურული გადაცემა მიეძღვნა აკაკი წერეთლის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ეთერში გაისმა რადიოკომპოზიცია „აკაკი წერეთელი". გადაცემა მიეძღვნა პოეტის დაბადების 125 წლისთავს.

კომპოზიციაში ხაზგასმული იყო აკ. წერეთლის ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობასთან. განხილული იყო პოეტის ლირიკა.

მეოთხე კინოფესტივალის წინა დღეები

ორი დღე დარჩა მოსკოვის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალის გახსნამდე, ახლა უკვე ცნობილია, რომ ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს სამოცამდე სახელმწიფო, რაც თავისთავად მოწმობს ფესტივალისადმი დიდ ინტერესს.

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა კავშირი ფესტივალზე საკონკურსოდ წარადგენს ორ მხატვრულ ფილმს. ეს არის ს. ბონდარჩუკის „ომისა და მშვიდობის" პირველი სერია და კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნაწარმოები „ჯარისკაცის მამა", რომლის დამდგმელი-რეჟისორია რ. ჩხეიძე.

„შენი ძია მიშა" მცირე თეატრში

დადგა ზაფხული და მოსკოვის თეატრები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში გაემგზავრნენ საგასტროლოდ. საგასტროლოდ გაემგზავრა აგრეთვე მოსკოვის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრი. იგი ეწვევა როსტოვსა და ლენინგრადს. საგასტროლო რეპერტუარში შეტანილია 15 საუკეთესო სპექტაკლი, მათ შორის — ცნობილი საბჭოთა დრამატურგის გ. მდივანის კომედია „კონსული მოიპარეს".

გასტროლების დროს თეატრი იმუშავებს ახალ სპექტაკლებზეც, რომლებსაც მოსკოველები სეზონის პირველ ნახევარში ნახავენ. ახალი სპექტაკლების რიცხვშია გ. მდივანის პიესა „შენი ძია მიშა".

ს. რიჟინაშვილი

საქალაქო საბჭოს მეორე სესია

28 ივნისს. ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეათე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეორე სესია.

სესია გახსნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ა. მელაძემ. სესიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი შ. ქუტიძე, მდივნად — დეპუტატი მ. გოგლიძე.

მოხსენებით — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისადმი დაქვემდებარებული საწარმო-დაწესებულებებისა და საბინაო ფონდის ზამთრისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ — გამოვიდა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, დეპუტატი ბ. ქვანია.

შემდეგ მოსმენილ იქნა საქალაქო საბჭოს საბინაო მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ბ. მგელაძის თანამოხსენება.

მოხსენებისა და თანამოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. განხილულ საკითხზე სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება. სესიამ მოისმინა საქალაქო საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა, მწერალმა კ. ლორთქიფანიძემ. მუდმივი კომისიის ანგარიშის გარშემო კამათის შემდეგ სესიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

ავამაღლოთ ვაჭრობის კულტურა

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

თბილისის საქალაქო საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე.

ამხანაგო დეპუტატებო! მხოლოდ სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის საქალაქო საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივმა კომისიამ მუშაობა დაიწყო. ამიტომ ჩემი სიტყვა არ მოიცავს ქალაქის სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციების საქმიანობის ვრცელ სურათს. მათი ავკარგის შესწავლა უფრო მეტ დროს და უფრო დაკვირვებულ მუშაობას მოითხოვს. მაგრამ ჩვენმა კომისიამ ამ მოკლე ხანშიც ჩაატარა გარკვეული მუშაობა და შეუძლია გააცნოს სესიას თავისი შთაბეჭდილება საქართველოს დედაქალაქის ვაჭრობის ზოგიერთ საკითხზე. უპირველეს ყოვლისა, მინდა ზოგი რამ ზოგადად მოგახსენოთ იმ ტექნიკურ სიახლეებსა და პროგრესზე, რაც ბოლო დროს დამკვიდრდა თბილისის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში. ქუჩებში გავლისას თვალს ახარებს ბევრი ლამაზი, კეთილმოწყობილი მაღაზია, რესტორანი, პავილიონი. ისინი მარტო გარეგნულად კი არ არიან ლამაზები, არამედ იქ ლამაზია და სასიამოვნო მომხმარებელთა კულტურული მომსახურება, სისუფთავე, წესრიგი, სურსათ-სანოვაგისა და კერძების ხარისხი, და, თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთ ობიექტებში სასწორიც და საზომიც ლამაზად, უტყუარად მუშაობს, რაც დახლის მუშაკის პატიოსნებაზე და მოქალაქეობრივ შეგნებაზე ლაპარაკობს.

ამხანაგო დეპუტატებო, თქვენ არ იფიქროთ, რომ მე ვარდისფერი სათვალით ვუცქერდე სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობას და კეთილი ბიძიას როლში გამოვდიოდე. ჩვენ ვიცით, რამდენი საყვედური და საჩივარი იწერება ვაჭრობის მუშაკებზე, მაღაზიებსა თუ სასადილოებზე. მაგრამ მე არ შემიძლია გვერდი ავუარო იმ დიდ სიკეთეს, რასაც ახლა ყველაზე პირველი მომხმარებელიც კი ხედავს. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელის ტექნიკური აღჭურვილობა, ვაჭრობის სპეციალიზაცია. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ძლიერმა ტექნიკურმა ბაზამ — მაცივარდანადგარების, თბოელექტროთწყობილობის, ამწე-სატრანსპორტო და სხვა ტექნოლოგიური საშუალებების ფართოდ გამოყენებამ შეამსუბუქა ადამიანის ფიზიკური შრომა, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელში შემოიტანა სისუფთავე, გააუმჯობესა სურსათ-სანოვაგის შენახვისა და კერძების დამზადების ხარისხი. ახალმა ტექნიკამ ვაჭრობის ახალი, პროგრესული მეთოდები მოითხოვა და ბევრ შემთხვევაში სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა კარგად გაართვეს თავი ამ ახალი მეთოდების დანერგვას. თბილისის სავაჭრო ქსელის ტექნიკური ბაზა დღეისათვის შეიცავს სხვადასხვა აპარატებისა და მოწყობილობის 3861 ერთეულს. ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ ასეთი მძლავრი ტექნიკა იმიტომ ჩააბარა თბილისის ვაჭრობის თავკაცებს, რომ ისინი უკეთესად მოემსახურონ საბჭოთა ადამიანებს, რომ მაღაზიიდან მყიდველი ნერვებდაწყვეტილი, უმადური კი არ მიდიოდეს, როგორც ეს, სამწუხაროდ, ხშირად ხდება ხოლმე, არამედ კმაყოფილი და გახარებული.

თუ თვალს გადავავლებთ თბილისის აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ სავაჭრო ორგანიზაციების საქონელბრუნვის გეგმას, აქაც აშკარად დავინახავთ ხალხის ცხოვრების გასაუმჯობესებლად პარტიისა და მთავრობის განუწყვეტელ ზრუნვას. მაგალითად, მიმდინარე წელს თბილისის მოსახლეობას თითქმის 7 პროცენტით მეტ სამრეწველო და სასურსათო საქონელს მიჰყიდიან, ვიდრე შარშან მიჰყიდეს.

ამ მოკლე წინასიტყვაობის შემდეგ ნება მომეცით ისევ დავუბრუნდე ჩვენი კომისიის საქმიანობას. დღემდე კომისიამ 6 სხდომა ჩაატარა. ამ სხდომებზე გამოიყო ბრიგადები ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების შესამოწმებლად და შემოწმების შედეგების განსახილველად. პირველ რიგში დაგვაინტერესა ერთმა მეტად საჭირბოროტო საკითხმა: როგორ აკმაყოფილებს თბილისის ახალი უბნების მოსახლეობას მათს ტერიტორიაზე მოთავსებული ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მაღაზიები და სასადილოები. კომისიის წევრები სერიოზულად მოეკიდნენ ამ საპატიო დავალებას. ისინი შემოწმების დროს ესაუბრებოდნენ მომხმარებლებს, იგებდნენ მათს აზრსა და შეხედულებას ამა თუ იმ მაღაზიის მუშაობაზე, და დიდძალი მასალა წარმოუდგინეს კომისიას.

აი რას მეტყველებს ეს მასალები. პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ თბილისის ახალი უბნები, რომლებიც გარეგნული სილამაზით, კეთილმოწყობით, მოსახლეობის შემადგენლობით, ქუჩებით, ბაღებით, პარკებით არა ჰგვანან თბილისის იმ ძველ გარეუბნებს, ოდესღაც ქალაქის ყველაზე ჩამორჩენილ მოუწყობელ ნაწილს რომ წარმოადგენდა — ღირსია მეტი ყურადღებისა ვაჭრობის ხელმძღვანელი მუშაკების მხრივ. ამ ახალ უბნებს, თბილისის ახალ სილამაზესა და მშვენებას, ძალიან აკლია ყოველდღიური მზრუნველი ხელი და მსინჯველი თვალი... რა თქმა უნდა, თითო-ოროლა კარგი მაღაზია აქაც მოიპოვება, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის. მით უფრო, რომ ამ უბნების მოსახლეობა დღითიდღე მატულობს, ვაჭრობა კი ამ ტემპს ნაბიჯს ვერ უწყობს.

მე ახლა თავს არ შევაწუხებ ცალკეული ფაქტების ჩამოთვლით — თუ სად, რამდენი ან რა ხასიათის დარღვევა იყო, ან ვინ შებღალა საბჭოთა ვაჭრობის მუშაკის სახელი. ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. ამ მასალებს საქალაქო საბჭოს ვაჭრობის სამმართველოსთან ერთად ახლო მომავალში განიხილავს ჩვენი კომისია და სათანადო ზომებსაც მიიღებს. მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო იმ ზოგად, სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩა თბილისის ახლად დასახლებულ უბნებს.

თუნდაც იქიდან დავიწყოთ, რომ ნაძალადევის მესამე მასივში ან საბურთალოს ბოლოში მოთავსებულ ზოგიერთ მაღაზიამდე, პავილიონამდე ავდარში კაცი ადვილად ვერ მიაღწევს. მაღაზიების წინ გაუვალი ტალახი და წყლის გუბეები დგას. ახალგაზრდები კიდევ ოოლად გადიან, — ქვიდან ქვაზე, აგურიდან აგურზე ხტებიან და მაღაზიაში ასეთი შედიან, მაგრამ რა ქნას ხანშიშესულმა ხალხმა?

ამას გარდა, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ახალ საუცხოო უბნებს ბევრ შემთხვევაში უსუფთაო და გაქუცული ფანერის პავილიონები ძალიან პროვინციულ იერს აძლევენ. საწყობებისა და სარდაფების უქონლობის გამო ცარიელი ყუთები, ბოთლები და სხვა ათასგვარი ხარახურა იქვე ყრია მაღაზიის გვერდით და, გარდა იმისა, რომ ეს სანახაობა თვალს არ ესიამოვნება, ტარაც იმტვრევა და ფუჭდება.

რადგანაც სიტყვა ტარაზე ჩამოვარდა, ჩვენი ვაჭრობის ხელმძღვანელებს კიდევ ერთი რამ უნდა ვუსაყვედურო. ჩვენი ქალაქის მაღაზიები უცხოური პროდუქტების ტარას, — ქილებს თუ ბოთლებს უკან არ იღებენ, რაც მომხმარებლის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. ამავე დროს ამ ქილებს ჩვენში გაკეთებული სახურავები არ ერგება, რომ მოსახლეობამ ეს ტარა რამეში გამოიყენოს. სარდაფებისა და საწყობების სიმცირის გამო იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა მაღაზიამ ფქვილი და ბრინჯი არ მიიღო, ვინაიდან მათი დასაწყობი ადგილი არ ჰქონდა. არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო ის ამბავი, რომ ახალ უბნებში პურის მოტანა და გაყიდვა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ მოწესრიგებული. ჯერ ერთი, ზოგიერთ მაღაზიაში პური საჭირო რაოდენობით არ მოაქვთ, და, ამავე დროს, აგვიანებენ მოტანას. ზოგან კიდევ უბანი ძალიან დიდია, მაღაზია კი ძალიან პატარა, რაც იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას. როცა ამ მაღაზიაში პური გათავდება (პური კი აქ ძალიან მალე თავდება), მცხოვრებლები ზოგჯერ 1-2 კილომეტრით დაშორებულ მაღაზიაში მიდიან პურის საყიდლად. ნაძალადევის მესამე მასივში მდებარე № 29 და 30 პავილიონები სრულიად უვარგისია და ყოვლად მოუხერხებელი პურის გასაყიდად.

იმ მასალების მიხედვით, რომელიც კომისიას ხელთ აქვს, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მოსახლეობა ყველაზე მეტ საყვედურს პურვაჭრობის მაღაზიების მუშაობაზე გამოთქვამს. № 174 მაღაზიას თაროებიც კი არა აქვს და იქ პურს იატაკზე აწყობენ. მაშინ როცა ჩვეულებრივ კაცი, მიწაზე დავარდნილ პურის ნატეხს რომ დაინახავს, იმ პურს აიღებს, ეამბორება და მაღლა შემოსდებს. ეს კიდევ არაფერი! რა სისუფთავე უნდა დაიცვან პურვაჭრობის ამ მაღაზიის თანამშრომლებმა, სადაც წყალი არ არის გაყვანილ, და ხელის დაბანა თუ მაღაზიის დასუფთავება წვეთწვეთად მოტანილი წყლით ხდება. ასეთი უწყლო მაღაზიები კი, რამდენიც გინდათ, იმდენია ქალაქში. ახალი უბნების მაღაზიები ქალაქის ცენტრში მდებარე მაღაზიებს იმითაც არა ჰგვანან, რომ აქ მართალ სასწორს ტყუილის თქმას ასწავლიან. მომხმარებელს წონაში ატყუებენ. ამავე დროს მაღაზიებში იშვიათად ნახავთ საკონტროლო სასწორს, რომ კაცმა იმის გაგება მაინც შეძლოს, თუ წონაში რამდენი დააკლეს.

ზოგიერთი მაღაზია სავსეა ჩაწოლილი საქონლით. მაგალითად, ნაძალადევის № 22 პავილიონში აწყვია 1200 ქილა რიგის წარმოების ვაშლის კომპოტი. 4 თვის განმავლობაში მხოლოდ 16 ქილა გაყიდეს. № 28 პავილიონში აწყვია 2100 ქილა ადგილობრივი წარმოების ვაშლის კონფიტიური, რომელიც მიიტანეს, ლუდსაც იმდენი ამშვენებს პავილიონის თაროებს. ჩვენი გამოანგარიშებით, ამ კომპოტებისა და კონფიტიურის გაყიდვას თითქმის 4 წელი დასჭირდება. თუ, რა თქმა უნდა, მანამდე რამე სასწაული არ მოხდა, მაგალითად, ნაძალადევის მესამე მასივში თუ არ დასახლდა საგანგებოდ ამ პროდუქციის მოყვარული ხალხი.

რესტორნებისა და სასადილოების შემოწმების დროს ერთ უცნაურ მოვლენას წავაწყდით. ეს იმ ობიექტებს ეხება, სადაც მაგარი სასმელები უფრო ძვირად იყიდება, ვიდრე მაღაზიებში. საქმე შემდეგშია: ქარხნიდან თუ ცენტრალური საწყობიდან შემოტანილ ღვინოს, არაყს და კონიაკს რესტორნის თუ სასადილოს ხელმძღვანელი ეტიკეტზე ასვამს თავისი ობიექტის ბეჭედს. როგორც გვითხრეს, ეს იმიტომ ხდება, რომ რესტორანში არ მოხდეს უფაქტურო სასმელების შემოტანა. მაგრამ აქ, ჩვენი აზრით, უფაქტურო საქონელს წინიდან შემოსასვლელი კარი რომ დაუკეტეს, სამაგიეროდ უკანა კარი ძალიან ფართოდ გაუღეს. ჩვენ გვითხრეს ერთ ადგილას, რომ კონიაკი, რომელიც თქვენ ახლა მიირთვით, აგერ იმ გასტრონომიულ მაღაზიაშია ნაყიდი: დავხედეთ კონიაკის ბოთლს. ეტიკეტს მკაფიოდ აჩნდა რესტორნის ბეჭედი. — ბეჭდის დასმა არ დაგვიწუნდებათ, მით უფრო, რომ მოგება მათ ჯიბეში ჩადის, — გვითხრა ჩვენმა თანამოსაუბრემ. მართალიც და, საკითხავია, ვისაც არა რცხვენია იმისა, რომ რესტორანში უფაქტურო საქონელი შემოიტანოს და გაყიდოს, რატომ უნდა შერცხვეს უფრო უხეში და მოხერხებული კომბინაციისა? ჩვენ გვგონია, რომ აქ ყველაფერი რიგზე არ არის და კარგი იქნება, თუ ვაჭრობის სამმართველო უფაქტურო საქონლით ვაჭრობას უფრო ხშირი გზით შეებრძოლება.

მილიციის მუშაკები ხშირად ამბობენ სამართლიან საყვედურს, რომ ამა თუ იმ ღონისძიების გატარების დროს ზოგიერთი მოქალაქე განზე გადგება ხოლმე და არ გვეხმარება, მაშინ, როცა მათს დახმარებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. სრული სიმართლეა, მაგრამ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ზოგჯერ პირიქითაც ხდება და ამას უფრო დიდი ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის. არ შემიძლია ამ ტრიბუნიდან არ გამოვთქვა გულისწყრომა პირველი მაისის რაიონული მილიციის ქვეგანყოფილების თანამშრომლების მოქმედების გამო. როდესაც დეპუტატები აქ ერთ-ერთი სასადილოს შემოწმებას შეუდგნენ, სასადილოს გამგემ დეპუტატებს ჩამოართვა საბუთები. მერე დაუძახა მილიციის თანამშრომელს შუბითიძეს და უთხრა — „ესენი ხულიგნები არიან და მილიციაში წაიყვანეთ". შუბითიძემ სასადილოს გამგის ყოვლად უკანონო მოთხოვნა ხრმად შეასრულა. ძალიან დამახასიათებელია ის ამბავი, რომ შუბითიძემ მეორე მხარე, ამ შემთხვევაში სასადილოს გამგე, განყოფილებაში არ წაიყვანა. ქვეგანყოფილებაში ოპერრწმუნებულმა გასცა განკარგულება — „გაუშვით ისინი იმ ოთახში, დააწერინეთ ახსნა-განმარტება... მე ახლა მივდივარ და როცა დავბრუნდები, ყველაფერს მერე გამოვარკვევო".

ხსენებული სასადილო მილიციის ქვეგანყოფილების მეზობლად მდებარეობს. ქარგია კარგი მეზობლობა, შეხმატკბილებული ცხოვრება, თუ, რა თქმა უნდა, ამას არ შეეწირება სიმართლე და კანონიერება.

ეს იყო და ეს. იმ საღამოსვე ამ საქმეში ჩაერივნენ ამხანაგები ედუარდ შევარდნაძე და ვარლამ შადური და ეს სამარცხვინო ამბავი ალბათ ისე დასრულდება, როგორც უნდა დასრულდეს. მაგრამ, ეს ულამაზო შემთხვევა ძალიან დამაფიქრებელია. აშკარა გაუფორმებელი წინააღმდეგობა გაუწია საზოგადოებრივ კონტროლს მარცხენა ნაპირის კვებავაჭრობის № 8 მაღაზიის გამგემ შ. მჭედლიშვილმა. იგი არავითარ ცილისწამებას არ მოერიდა, რომ თავისი ცუდი განზრახვა როგორმე გაემართლებინა.

როგორც ეტყობა, დედაქალაქის ვაჭრობის ქსელში ადმინისტრირების მუშაობას ჯერ კიდევ არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. ამიტომაცაა ყოველთვის არ ისჯება შემაფერხებელი სანქციით. ამიტომ ვაჭრობის ზოგიერთი მუშაკი ისეა თავგასული და გათამამებული, როგორც ძველად თავადიშვილი იყო თავის საუფლისწულო მამულში. ამის თვალსაჩინო მაგალითია მარცხენა ნაპირის № 178 პავილიონის ყიდვა-გამყიდველის კალანდაროვის მოქმედება. სავაჭრო ობიექტში არც სანიტრის წიგნი აღმოჩნდა, არც საკონტროლო წიგნი, არც პირადი სანიტარული წიგნაკი და არც გამგის დანიშვნის ბრძანება. ყველაფერი სახლში მაქვსო, განაცხადა კალანდაროვმა.

სანამ ჩემს სიტყვას დავასრულებდე, კიდევ ერთ საკითხზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. როგორც მოგეხსენებათ, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებს მრავალი მეთვალყურე ჰყავს. მე აქ არ ჩამოვთვლი ყველა იმ ორგანიზაციას, კომისიას, რომლებსაც სავაჭრო ობიექტების შემოწმების უფლება აქვთ. ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთ რომელიმე მაღაზიას ერთი დღის განმავლობაში ხუთი ან ოთხი სხვადასხვა კომისია ამოწმებს. ეს ხელს უშლის ობიექტის ნორმალურ მუშაობას, იწვევს თანამშრომლების ზედმეტ დაძაბულობას. შედეგური ნაყოფი კი ამას მაინც არ მოაქვს. ეს თუნდ იქიდანაც ჩანს, რომ ვაჭრობის წესების დარღვევის შემთხვევები არც თუ ისე იშვიათია. იქნებ საჭიროა გადავხედოთ რეგისტრირებულთა გრძელ სიას და ამავე დროს გავითვალისწინოთ შემოწმების უფრო ახალი, მეტი სარგებლობის მომტანი ფორმები. შემოწმების შედეგები მომხმარებელთა საყოველთაო ხაგანი უნდა გავხადოთ, თორემ ზოგჯერ ისე ხდება, რომ კომისიის მიერ შეგროვებული მასალები მიზანს არ ხვდება. ჩვენი კომისიის მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, რომ მჭიდრო კავშირი გვქონდეს ქალაქის რაიონულ საბჭოებთან და არსებულ შესაბამის კომისიებთან. უნდა გამოვტყდე, რომ ჩვენ არც ჩვენს ამომრჩევლებთან ვართ ისე ახლო, როგორც ამას ცხოვრება მოითხოვს. კომისიამ ეს ნაკლი დროზე უნდა გამოასწოროს, რომ დეპუტატების საზოგადოებრივი კონტროლი უფრო აქტიური და სასარგებლო იყოს.

ჩვენი დედაქალაქი მრავალმხრივ სანიმუშო ქალაქია. იგი სანიმუშოა თავისი კულტურული და სამეცნიერო დაწესებულებებით, ქარხნებით და ფაბრიკებით და სანიმუშო უნდა გახდეს ვაჭრობის კულტურითაც. ეს დიდი ამოცანა დგას თბილისის ვაჭრობის მუშაკთა მრავალათასიანი კოლექტივის წინაშე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი შეძლებენ თბილისელების გულის მოგებას. ჩვენც ჩვენი მხრივ ძალღონეს არ დავიშურებთ, რომ დავეხმაროთ მათ ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტაში.

მუსიკოსი.

ფოტოეტიუდი გ. გაბუნიასი.

მაღალიდეური თეატრალური ხელოვნებისათვის

დამთავრდა თეატრალური სეზონი. გაშლილი სეზონის შედეგების განხილვას მიეძღვნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მორიგი XII პლენუმი, რომელიც 28 ივნისს გაიმართა.

პლენუმი გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ.

პლენუმზე მოხსენებით — „რესპუბლიკის თეატრების სეზონის შედეგების შესახებ" — გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო კოლეგიის მთავარი რედაქტორი ა. წულუკიძე.

მომხსენებელმა ილაპარაკა თეატრალური ხელოვნების აქტუალურ საკითხებზე, განიხილა ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, გორის, ზუგდიდის და სხვა თეატრების მუშაობა, დაწვრილებით შეჩერდა კ. მარჯანიშვილისა და რუსთაველის სახელობის თეატრების მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე, კერძოდ, რუსთაველის სახელობის თეატრის რეპერტუარზე.

კამათში გამოვიდნენ თეატრმცოდნე ნ. შვანგირაძე, სსრკ სახალხო არტისტი, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის ხელმძღვანელი [illegible], კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე, დრამატურგი ა. ამნიაძე, სოხუმის თეატრის მთავარი რეჟისორი ა. ქუთათელაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ჟღენტი, თეატრალური ინსტიტუტის დირექტორი ი. თავაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რუსთაველის სახელობის თეატრის კოლეგიის წევრი ა. ხორავაშვილი, სსრკ სახალხო არტისტი ს. ზაქარიაძე, საქართველოს სახალხო მხატვარი ელ. ახვლედიანი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი.

პლენუმის მონაწილეებს მიესალმა უკრაინის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, უკრაინის სახალხო არტისტი ვ. ხარჩენკო.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა დ. ანთაძემ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. ჯ. სტურუამ.

გავუფრთხილდეთ კულტურის ძეგლებს

29 ივნისს რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მესამე ყრილობა.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, აკადემიკოსმა შ. ამირანაშვილმა. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების საბჭოს მუშაობის შესახებ ანგარიშით გამოვიდა ამ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიკოსი ნ. კეცხოველი.

სიტყვა წარმოთქვა და ყრილობისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. გ. სტურუამ.

სარევიზიო კომისიის მუშაობის საანგარიშო მოხსენება გააკეთა ამ კომისიის წევრმა გ. ყურაშვილმა, მოსმენილ იქნა აგრეთვე სამანდატო კომისიის თავმჯდომარის შ. ბაბიძის მოხსენება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ჯიბლაძემ, მწერლებმა ქ. გამსახურდიამ, გ. ლეონიძემ, ლ. გოთუამ, კულტურის ძეგლების დაცვის საზოგადოების აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯ. ფაჩულიამ, აჭარის კულტურის მინისტრმა ლ. ბოლქვაძემ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ეფრემ II, საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ კ. სიხაძემ, გეგეჭკორის, მცხეთის, ბოგდანოვკის კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარეებმა — გ. ელიავამ, გ. ხუტაშვილმა, ა. დურგარიანმა.

ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ლიტვის სსრ მხარეთმცოდნეობის საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. სტრაუინსკასმა.

მოხსენება საზოგადოების წესდების ცვლილებათა შესახებ წაიკითხა საზოგადოების პრეზიდიუმის სწავლულმა მდივანმა ი. ზაქარიაძემ.

ყრილობამ განხილულ საკითხებზე მიიღო რეზოლუცია, რის შემდეგაც არჩეულ იქნა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური საბჭო და სარევიზიო კომისია. საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს სხდომაზე აირჩიეს პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, პოეტი-აკადემიკოსი **ირ. აბაშიძე**, მოადგილედ — აკადემიკოსი **ნ. კეცხოველი**, პროფესორები **ა. ალფაიძე**, **ვ. ბერიძე**, საქართველოს კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სახვითი ხელოვნების სამმართველოს უფროსი **თ. კანდელაკი** და **კ. სიხაძე**.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია პროფესორი ი. ციციძე.

* * *

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა ყრილობის დელეგატებს, ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს. მათ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადეს:

გრემი.

ლადო გუდიაშვილი
საქართველოს სახალხო მხატვარი

ეს ყრილობა კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისტორიული ძეგლების დაცვას. მაგრამ ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. უფრო მეტი მოვლა და პატრონობა ესაჭიროება გელათს, ალავერდს, სვეტიცხოველს, დავით გარეჯს და მრავალ სხვას. ჩემი აზრით, საჭიროა, რომ ყოველ ამ ძეგლზე გაეპიროვნოთ სპეციალისტ-ისტორიკოსები და მხატვრები. სვეტიცხოველს თავისსავე გალავანში უნდა ჰქონდეს მუზეუმი. ახლანდელი მუზეუმი არ გვაკმაყოფილებს. თბილისიდან სულ ორ ნაბიჯზეა დიდებული მეთეხი, სადაც თამარის ბრწყინვალე ფრესკაა, მაგრამ უგზოობის გამო მეთეხში მისვლა მეტად გაძნელებულია. საზოგადოებამ უნდა იზრუნოს გზის გასაკეთებლად.

კულტურის ძეგლების დაცვის საქმეში დიდი მოვალეობა აკისრიათ მხატვრებს. მე მოვუწოდებ ყოველ ფერმწერალს და მოქანდაკეს, — გამოიჩინონ სიყვარული და ინიციატივა ჩვენი ბრწყინვალე ძეგლების შესანარჩუნებლად. ამ ძეგლებში ჩვენი ახალგაზრდა მხატვრები ნახავენ სულიერ საზრდოს ისეთს, ვიდრე რომელიმე ევროპელი მხატვრის შემოქმედებაში.

უჩა ჯაფარიძე
სსრკ სახალხო მხატვარი

ეს ყრილობა იმიტომაც არის საყურადღებო, რომ მეტი კონკრეტული საქმიანი წინადადება იქნა წამოყენებული. მხარს ვუჭერ აკადემიკოს ნ. კეცხოველს აზრს იმის შესახებ, რომ თვითეულმა ცოცხალმა ცნობილმა მოღვაწემ იკისროს ერთი რომელიმე ისტორიული ძეგლის მეთვალყურეობა. ისტორიული ძეგლების, ჩვენი სულიერი საუნჯის დაცვა და შენახვა მთელი ჩვენი ხალხის საქმეა. ფრესკების მოვლა-პატრონობა მხატვრებსაც, — საჭიროა ხშირად მოეწყოს მხატვართა ექსპედიციები, უფრო მეტი ყურადღება, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ კედლის მონუმენტური მხატვრობის შენარჩუნებას, რადგან მათში გამოსჭვივის დიდი ოსტატობა ჩვენი წინაპრებისა. თუ ფრესკებს არ გავუფრთხილდებით, ხელიდან გამოგვეცლება დიდებული განძეულობა.

ღირსების საქმე

მოვიარეთ ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის ქალაქები პრაღა, კარლოვი-ვარი, ბრნო, ბრატისლავა (ჩეხოსლოვაკიაში), ბუდაპეშტი, ეგერი, დებრეცენი (უნგრეთში). ვნახეთ მრავალი ძეგლი და მუზეუმი, გავეცანით ძეგლთა აღდგენა-დაცვისა და მოვლა-პატრონობის დარგის და სამეურნეო საქმის მრავალ სპეციალისტს. უამრავი შთაბეჭდილებით დავბრუნდით უკან.

ორივე ქვეყანაში მრავალი ძეგლი ვნახეთ. ამ ძეგლთა დიდი ნაწილი ფეოდალურ ხანას (XI-XV ს.ს.) მიეკუთვნება. მრავალ წელთა სიავეს გაუძლეს ამ ძეგლებმა. ულრესად სუფთად და ფაქიზად არის დაცული თვით ნაგებობაც და მის ირგვლივ მყოფი საკმაოდ დიდი ტერიტორიაც. ეს სისუფთავე ძალაუნებურად ძეგლის მიმართ სიყვარულისა და მოწიწების გრძნობას ბადებს. ძალიან ცუდი ადამიანი უნდა იყოს, რომ ძეგლის ირგვლივ შექმნილი ამგვარი სიფაქიზისა და სისუფთავის ჰარმონია დაარღვიოს.

თვალწინ წარმოგვიდგა ჩვენი ძეგლები: ზოგიერთი ახალგაზრდის მიერ „უკვდავსაყოფად“ ძეგლზე მიწერილ-ამოკაწრული გვარი და სახელი, უმიზნო, ზოგჯერ უხამსი წარწერები, ძეგლის მიკედლებული თუ მიდგმული ხარაჩო-დახლიანები, მოქეიფეთა ხმაურით დანაგვიანებული ეზო-მიდამო.

საჭიროა უფრო ფართოდ გავშალოთ ლექციური პროპაგანდა ჩვენი შესანიშნავი ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით, რადიო და ტელევიზიაც უნდა გამოვიყენოთ, კონკრეტულად დავუსახელოთ მსმენელებს მათი გვარი და სახელი, ვინც უდიერად ეპყრობა ძეგლებს, პირადი პასუხისმგებლობა უნდა დავაკისროთ ტურისტულ ექსკურსიების ჯგუფის ხელმძღვანელებს, რომ ექსკურსანტებმა ძეგლები არ დაანაგვიანონ. ძეგლის დამნაგვიანებლები უნდა გამოვამჟღავნოთ და მკაცრი პასუხი მოვთხოვოთ. თუკი ღორობის, ხულიგნობისა და სხვა „წვრილმანი“ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთათვის, დამნაშავეს ამხანაგურ სასამართლოს ვუწყობთ და მკაცრად ვსჯით, განა ძეგლის, ამ ეროვნული საუნჯის, დამნაგვიანებელი უფრო მკაცრად არ უნდა დაისაჯოს?

ჩვენი რესპუბლიკის მრავალ ძეგლს საგანგებო მცველი ჰყავს. ამ მცველებს სახელმწიფო უხდის ხელფასს. ზოგიერთი მათგანი თავის უფლება-მოვალეობას მხოლოდ იმით განსაზღვრავს, რომ ჩაკეტავს კარებს, ჩაიდებს გასაღებს ჯიბეში და, ბევრჯერ რომ ეძახო, ვერსად იპოვი. ძეგლის სანახავად მოსული ექსკურსანტები იძულებული არიან გალავნიდან გადაიხედონ, კარები გატეხონ და სხვ. ერთი სიტყვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძეგლი უპატრონოა. იქნებ საჭირო იყოს მცველებს მივცეთ სათანადო ჟურნალები, სადაც აღრიცხავენ, ვინ ნახა, როდის მოვიდა ძეგლის დასათვალიერებლად, ვინ იყო ჯგუფის ხელმძღვანელი, მოხდა თუ არა ამ დროს ძეგლის რაიმე დაზიანების შემთხვევა და სხვ. ამ ჟურნალში ჯგუფის ხელმძღვანელმაც უნდა მოაწეროს ხელი.

იმ უამრავ ძეგლთაგან, რომელთა ნახვაც შევძელით ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში, არც ერთი არ არის სხვა რაიმე მიზნით გამოყენებული. ძეგლის სხვა დანიშნულებით გამოყენების პრაქტიკა საერთოდ არ არის მიღებული.

ჩვენთან? რამდენიც გნებავთ. შორს რომ არ წავიდეთ, თუნდაც თბილისის ძეგლების მაგალითიც კმარა: ღვთისმშობლის შესანიშნავი დარბაზი ლენინის რაიონული განყოფილების საწყობად არის ქცეული. მოლნის ეკლესია — ავეჯის დამამზადებელ სახელოსნოდ, მეტეხის ეკლესიის კედელზე კინორეკლამები ლაგდება (თითქოს სამისოდ სხვა უკეთესი ადგილი არ იყოს) და სხვ.

კატეგორიულად უნდა აიკრძალოს ძეგლების არამიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება.

ყველა იმ საწარმომ და დაწესებულებამ, რომელსაც ძეგლთან რაიმე ურთიერთობა უხდება (მაგ., კინოსტუდია, ტელევიზია და სხვ.), საქმე უნდა შეუთანხმოს ჩვენი კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობისათვის პასუხისმგებელ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

თუ გავითვალისწინებთ ძეგლის რესტავრაციასთან დაკავშირებული სამუშაოების სირთულეს და სიძვირეს, უნდა ვაღიაროთ, რომ ძეგლის ფრაგმენტული რესტავრაციის მეთოდი საკმაოდ ეფექტური და ეკონომიურია.

რა თქმა უნდა, იმას არ ვამტკიცებთ, ჩვენშიაც ერთბაშად, ყველა ძეგლის მიმართ რომ გამოვიყენოთ ფრაგმენტული სახით რესტავრაციის მეთოდი. ეს საკითხი მეტად რთულია და სერიოზულ შესწავლას ითხოვს: იქნებ საკითხის ყოველმხრივმა შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანოს, რომ შესაძლებელი გახდეს ამ მეთოდის გამოყენება, ზოგიერთი ძეგლის მიმართ მაინც.

იშვიათია ქვეყანა, ძეგლთა მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით, რომ შეედრებოდეს საქართველოს. ხუთი ათასზე მეტი ძეგლი აღრიცხულია ამ მცირე ტერიტორიაზე, ხოლო რამდენი ჯერ კიდევ მოუძებნელ-გამოუკვლეველი!

ურბნისის თუ ძველი შიომღვიმის წინაქრისტიანული ხანის სვეტ-ნაგებობები, ოშკის, ხახულის, ბანას, მცხეთის ჯვრის, სვეტიცხოვლის, ალავერდის, ბაგრატისა და სხვა მრავალი ეკლესიები და ტაძარ-მონასტრები, ციხეები, თბილისის, გორის და სხვა მრავალი ციხე თუ საერო დანიშნულების ნაგებობა, ისეთი ძეგლებია, რომელთა არსებობითაც იამაყებდა ყველა ერი: ასე მოუვლიდა და მოწიწებით პატივს სცემდა იმ სახელოვან წინაპართ, რომლებმაც ეს ძეგლები შექმნეს.

ამ ძეგლებს უნდა მოვუაროთ და ვუპატრონოთ.

ოთარ ტყეშელაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

უფრო დიდი ამოცანების წინაშე

ლევან გოთუა

კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება უკვე შვიდი წელია არსებობს და მოღვაწეობს. ძეგლთა მოვლას ჩვენში უკვე შეიქმნა ტრადიცია და ეს არის ყველაზე დიდი მონაპოვარი ჩვენი საზოგადოებისა. ახლა საქართველოში თითქმის აღარ მოგვეპოვება ისეთი ადამიანი, რომელმაც არ იცოდეს, რომ ძეგლები კი არ უნდა დავანგრიოთ, უნდა დავიცვათ. ჩვენ, სხვა თუ არა, ახლა 250.000-იანი სახელოვანი ლაშქარი გვყავს ძეგლთა დაცვაში გაერთიანებული. მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ — ჩვენს წინაპრებს რომ ჰყოლოდათ ასეთი ლაშქარი — საქართველოში მტერი ვერც ერთ ძეგლს ვერ დაანგრევდა... და ეს მარტო ძეგლებს როდი შეეხება!

ამ საზოგადოებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უანგარო მოღვაწეობა საზოგადოებრივ საწყისებზე სავსებით შესაძლებელი ყოფილა... რომ კეთილ ქართულ და კულტურულ საქმეს ჩვენში მუდამ ჰყავდა და ახლაც ჰყავს ბევრი მომხრე და ხელის შემწყობი. ფრიად ამაღლდა ძეგლთა მოვლის შეგნება და სურვილი. ჩვენში უკვე დაიზარდნენ, დახელოვნდნენ „ძეგლთა მეურნეობის“ ახალი მუშაკები, ხუროთმოძღვრები, ინჟინრები, ხელოვნებისმცოდნენი. ეს დიდი ნუგეშია, რადგან უკეთილშობილეს იდეასაც მხოლოდ მაშინ ახლავს განხორციელების მადლი და მარილი, როდესაც მისი განხორციელებისათვის თავდადებული, უანგარო და მცოდნე მოღვაწენი დაირაზმებიან.

მაგრამ არ არის დასაფარავი, რომ ჩვენ კიდევ გვყავან „ძეგლის ხულიგნები“ და მათ ხელები უნდა დავუმოკლოთ. აბა როგორ უნდა ჩავუაროთ ხმაურით ისეთ აღმაშფოთებელ ფაქტს, როგორიც არის მეტეხის სამრეკლოდან უძველესი ზარისა და მისი ენის გატაცება? ჩვენ მოვითხოვთ ამის ჩამდენი ვიგინდარების საჯარო გაკიცხვასა და დასჯას!

ჩვენს თაობას წილად ხვდა უცხო ქართველ თაობათა მიერ შექმნილ ძეგლთა ერთობლივი და ერთბაში მოვლა-პატრონობა. ამის გამო ბევრზე ბევრ შეზიარებულ ძეგლთან ჯერ ვერც მისულა მისთვის მზრუნველი და მისი შემკეთებელი.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს მეტად ძნელი ამოცანაა... მაგრამ ერთი ამბავი მაინც უნდა ითქვას.

აქამდე ვერ ვიძიეთ დავით გარეჯის მოვლა-პატრონობა.

აქ — თბილისიდან სულ სამოცდაათიოდე კილომეტრის მანძილზე ჩვენ ჩვენი იერუსალიმი გაგვაჩნია!... და ჩვენ ამის მეტი რომ არა გვქონდეს რა, ჩვენს ისტორიას მარტო გარეჯის ქვაბ-ქალაქები შეინახავდნენ!

„ქართლის ცხოვრების“ თითქმის ყოველი საუკუნის უნიკალურ ნაშთს შევხვდებით ამ ძეგლების ათასეულში. ქართული ხუროვნების და მატერიალური კულტურის ყოველი დარგი აქ მღაღადებს..., მართლაცდა უდაბნოა შინა!

დიდიხანია დროა დაისვას საკითხი ჩვენს სათანადო წრეებსა და ორგანიზაციებში — ჩამოყალიბდეს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში — დავით-გარეჯის შემსწავლელი და დამცველი მუდმივი კომისია, ექსპედიცია, ფილიალი.

ჩვენ ახლა უკვე გვაქვს ამისი საშუალება. ჩვენს წინაშე ახალ-ახალი, უფრო ფართო ამოცანები ისახება და ხორციელდება ისეთი მასშტაბებით, რომელთა შესახებ სულ რამოდენიმე წლის წინათ ალბათ ვერც ვიოცნებებდით.

კაპიტალურად აღდგენილ-შეკეთებულ-შემაგრებულია დიდი ძეგლები — სვეტიცხოვლის კარიბჭე, ვარძია, გელათის სასახლე, ბაგრატის ტაძარი...

მელქისედეკის კარიბჭის გაწმენდამ კიდევ ერთხელ ნათელჰყო — რამდენ შესანიშნავ ძეგლს მფარავს და იტევს ჩვენი მიწა — ხმამოუღებლად.

ვარძიის გაბზარული კლდეების დადუღაბებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ უკვე შეგვძლებია ურთულესი ხუროთმოძღვრული ქვაბ-ქალაქების დაცვა-შემტკიცება.

გელათის სასახლის გაწმენდა-გათხრამ და მეცნიერულ ტაქტით და ოსტატობით შესრულებულმა გამაგრებამ კვლავ გამოავლინა უნიკალური ნაგებობა.

რაც შეეხება ბაგრატის ტაძრის ყოვლად ქართული ხუროვნის აღდგენას, პირდაპირ უნდა ითქვას, ეს ბრწყინვალე მეცნიერულ-აღდგენითი მიღწევაა და, ჩემი აზრით, მას ამჟამად საბჭოთა კავშირში თანატოლი არ გააჩნია!

აღტაცებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლა ჩვენ კვლავ გვყავან „მეორედ აღმაშენებელნი“, რომელთა აღნიშვნა ასე სიამაყით მოსწონდათ ჩვენს წინაპრებს.

სულ ორიოდე წელიწადში ბაგრატი ძველ ახოვანებაში იქნება აღდგენილი და მხოლოდ მეზარადე — გუმბათი თუ დააკლდება!

ამ ტაძრის აღდგენა მარტო არქიტექტურული პრობლემა როდია, ეს ჩვენი ძველი და ახალი მხატვრობის, ერისა და შინაგანი მთლიანობის აღდგენაა. გარდა იმისა, რომ აღდგენილი ბაგრატი ჩვენს უძველეს დედაქალაქს — ქუთაისს კვლავ გვირგვინს დაადგამს, იგი ახალ, შესაფერ დიდ შენობას მიუჩენს ქუთაისის მდიდარ მუზეუმს. ხოლო „ნანგრევების რომანტიკის“ მიმდევართა საყურადღებოდ უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოში „რომანტიკულ ნანგრევებს“ ნეტა რა გამოლევს!.. მაგრამ თავის პატრიოტიზმით ერს უდავოდ გააჩნია ისეთი ძეგლები, რომელთა აღუდგენლობა ისევე დაუშვებელია, როგორც ერის მთლიანობის გაზიარება!.. და ფრიად საყურადღებო და სასიხარულოა, მე ვფიქრობ, ნამდვილადაც, რომ ამ აღდგენის იდეის სათავეში უდგას ქუთაისის ავტოქარხნის დიდი კოლექტივი, რომელმაც შემოიტანა წინადადება — დაიწყოს საჭირო სახსრების ნებაყოფლობითი შეგროვება. ჩვენს ხუროთმოძღვრებსა და ძეგლთა მშენებლებს უკვე ძალუძთ ზეამოწიონ, შეძლებისდაგვარად, პირვანდელი მასალით აღადგინონ ჩვენი ძეგლთა ძეგლი — უფროსი ძმა და თანამედროვე კვლავ ბაგრატში ამოუტანონ ალავერდსა და სვეტიცხოველს!

მომავალი წელი შოთას წელია, ოქროს ხანის ძეგლების წელი... დაე ჩვენმა მრავალტანჯულმა ძეგლებმაც იგრძნონ ჩვენი თაობის ახალი აღმავლობა და ის ხიბლი, რომელიც ჩვენ ყველას გვამხნევებს და გვამოქმედებს.

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლები

„რიჩარდ მესამე“

ჩვენს ეპოქასა და შექსპირს შორის ოთხი საუკუნეა ჩამდგარი, მაგრამ მისი ტრაგედიები, კომედიები თუ ისტორიული ქრონიკები კვლავ პირვანდელი ელვარებით ციმციმებს სცენაზე და მილიონობით ადამიანების ფიქრებს, აზრებსა და გრძნობებს ეუფლება.

აშკარა არის, რომ „შექსპირის ტრაგედიების განხორციელება დიდ შემოქმედებით შემართებას მოითხოვს“. ვინ მოსთვლის რამდენი ხელოვანი შესჭიდებია შექსპირის თემას, რამდენი შესდგომია ამ ძნელ საქმეს, მაგრამ ცოტას რგებია წილად გამარჯვების დაფნის გვირგვინი. შექსპირი გვაგონებს ძნელად მისადგომ მწვერვალს, რომლის დაპყრობაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ქართული თეატრის „ალპინიადა“ მდიდარია მსგავსი ლაშქრობით. მას ემატება ქუთაისის თეატრში დადგმული „რიჩარდ მესამე“. აღნიშნული დადგმა თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში უნდა შევაფასოთ, როგორც თვალსაჩინო მონაპოვარი მსოფლიო-კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების გზაზე.

მაინც რით არის გამოწვეული „რიჩარდისადმი“ ამგვარი ინტერესი? როგორ მოხდა, რომ ნაწარმოებს, რომელსაც ასე იშვიათად ეძებენ სხვა საბჭოთა თეატრის სცენაზე, თითქმის ზედიზედ ახორციელებს ქართული თეატრი, რომ იგი დაიდგა ჯერ თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, და შემდეგ — ქუთაისში?

პიესისადმი ინტერესი კ. მარჯანიშვილის დროიდან მოდის. დიდ რეჟისორს განზრახული ჰქონდა დაედგა ქართულ სცენაზე „რიჩარდ მესამე“. პიესის დადგმის სურვილი ბევრ შემოქმედს არ ასვენებდა, რა თქმა უნდა, აკაკი ვასაძესაც, რომლის მონაწილეობითაც უნდა დადგმულიყო ეს ტრაგედია კ. მარჯანიშვილს. მისი იდეითა და სარეჟისორო ექსპლიკაციით მეტად არის შთაგონებული ქართული თეატრის ორივე დადგმა.

თეატრის არჩევანი, და ისიც, რომ „რიჩარდ მესამე“ საგასტროლო რეპერტუარში მოხვდა, არ იყო შემთხვევითი. იგი გარკვეულად მიუთითებს თეატრის მიერ აღრჩეულ დასახულ გზებსა და შემოქმედებით პრინციპებზე. ქუთაისი შექსპირული რეპერტუარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა და ეს ტრადიცია დღესაც ცოცხლობს. თეატრი ფართო სარბიელზე აგებულ დიდ ტილოებს ქმნიდა და ასოციაციებით, ზოგჯერ კი პირდაპირი მითითებების გზით, თავისი დროის საჭირბოროტო საკითხებს თამამად ეხმიანებოდა.

ასეთია ტრაგედია, რომელიც თეატრის მაღალ მოქალაქეობრივ პოზიციებს, თეატრს — ტრიბუნს, თეატრს — თანადროულს გულისხმობს. ასეთად რჩება იგი დღესაც. ამ მხრივ საყურადღებო აღმოჩნდა აკაკი ვასაძის აზრი და მიზანდასახულობა.

მან ისტორიზმი მხოლოდ კოსტუმებით დაიცვა. პიესის სცენური მონტაჟიც დიდად დასცილდა ისტორიული ქრონიკის სიზუსტეს.

შედარებისათვის კი არა, აზრის ნათელსაყოფად უნდა შევნიშნოთ, რომ მაგალითად, ამ მხრივ, თვით შექსპირი აქეზებს რეჟისორს.

თავისი დროის მოთხოვნილებათა კვალობაზე შექსპირმა ისე გარდაქმნა რიჩარდის სახე, რომ ისტორიული სიმართლიდან რიჩარდ გლოსტერის შესახებ ცოტა რამ შეიტანა. მაგრამ დატოვა ყველაფერი, რაც სახელმწიფოს სათავეში მოქცეული ავანტიურისტის, გაუგონარი ტირანისა და უზურპატორის სახის სრულქმნას არაფერს დააკლებდა. პიესა ბოროტი სულის თემას ეძღვნება. ბოროტება აქ რიგით კაცს კი არ უპყრია ხელთ, არამედ ტიტანური ძალის ადამიანს. და ტრაგედიაც ბოროტი გენიის თემად არის გადაზრდილი.

აკ. ვასაძემ, ამჯერად უკვე როგორც მსახიობმა, შორს დაიჭირა თავი რიჩარდის პორტრეტული მსგავსების კვალისა და ტრადიციული ფორმებისაგან, რომელიც გარეგნულ სიმახინჯეს გულისხმობს და ისტორიული სიმართლეც არის. ეს უკვე თეატრალურ შტამპად ქცეული დახასიათება მან იოლად მისაღწევ ხერხად მიიჩნია, რომელიც შექსპირული სახის დაპატარავებისა და დაჩაგვრის საშიშროებას ქმნიდა. „მახინჯ სხეულში მახინჯი სული“ ტრადიციული ფორმულა უინტერესოდ და პრიმიტიულად ჩაითვალა შემოქმედმა; სცენაზე დგას თითქმის მოხდენილი გარეგნობის რიჩარდ გლოსტერი. ჩვენ იგი მომხიბლავ კაცადაც გვეჩვენება. წინასწარ არაფერი არ ამხელს გმირის ნამდვილ ბუნებას. ამ გზით სახის გაგება თანამედროვე ხდება. მოდი და იცან ასეთი კაცი გაუგონარ ბოროტმოქმედად — უსიტყვოდ ამბობს მსახიობი რიჩარდის პორტრეტული დახასიათებისას.

რა თქმა უნდა, ვიდრე პორტრეტულ დახასიათებაზე მიდგებოდა საქმე, დამდგმელმა დიდი მუშაობა გასწია პიესის სცენური ორგანიზაციის მხრივ.

ნაწარმოებში დიდი კუპიურებია შეტანილი. რეჟისორი ადგა მონოლოგების შემოკლების გზას. რიჩარდი და მისი ენერგიის ერთიანი უწყვეტი ხაზი, მოქმედების გაშლა პიესის ცენტრალური პერსონაჟის გარშემო და მასთან დამოკიდებულებაში — ასეთია პიესის რეჟისორული რედაქციის პრინციპი. გამონაკლისია მხოლოდ კეთილი და სამართლიანი ხელისუფლის რიჩმონდის (მსახ. ი. ბალიაშვილი) სახე, რომელსაც დიდ სცენურ დროს უთმობს დადგმული. სხვა დანარჩენი რიჩარდის სისხლიანი გზის ნიშნებია, დასაწყისიდან მის სამარცხვინო კატასტროფამდე. ამ გზის ყოველი ეპიზოდი თეატრალური გამომსახველობის მთელი რიგი საშუალებებით არის გამდიდრებული. მიზანსცენა, განათება, პლასტიკის სტატიკური სურათოვნება, მუსიკა, ყველა ერთად თავმოყრილია, რათა თეატრალურად მომხიბლავი გახადოს სცენა, ემოციური და შთამბეჭდავი იყოს მსახიობის შესრულება. ტრაგედიის ცენტრალური მომენტები რეჟისორის პლასტიკური ხედვის დიდი ძალით არის წარმოდგენილი. ასეთია მოულოდნელობის ეფექტზე აგებული სცენა ედუარდის კუბოსთან ყოფნისა, როდესაც რიჩარდის მაწყევარ ლედი ანას და მაყურებელსაც მგლოვიარე კათოლიკე ბერის ნაცვლად რიჩარდი შერჩება ხელში, როცა ეს „ბერი“ მოულოდნელად შემოუბრუნდება ლედი ანას და მის ფეხქვეშ დაეცემა მუხლმოყრილი რაინდივით. ასე იწყება სახელგანთქმული ეპიზოდი — კუბოსთან ყოფნის სცენა. ლედი ანას რისხვა და სიძულვილი, რომელსაც ექსპრესიულად ავლენს მსახიობი ლ. ვამბაძე, მალე იცვლება ლმობიერებით. ლედი ანა მონებდება ქმრის მკვლელის მომხიბვლელ ძალას, ისე, როგორც ყველა სუსტი არსება — ძლიერს. ამას მოჰყვება რიჩარდის ირონიითა და ცინიზმით აღსავსე სიტყვები ქალთა მოდგმის „დასახასიათებლად“; იქვე რიჩარდის მშრალი პრაქტიციზმი — „ამას შევირთავ, მაგრამ დიდხანს არ ვიყოლიებ“.

ეს სცენა რიჩარდის არტისტული ბუნების ბრწყინვალე გამოხატულებაა. ამ ეპიზოდში გულქვა ტირანი და გაუგონარი ცინიკოსი უხილოდ გამოკვეთილ რომელიმე გარდაისახება. უმალ გარდასახვის ამ პროცესს ბრწყინვალე შემსრულებელი სჭირდება სცენაზე. აკ. ვასაძე შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ თავზარდამცემი არტისტული დემონსტრაცია მოაწყოს.

ასეთ ძლიერ ეპიზოდად მოჩანს სპექტაკლში მეფე ედუარდ მეოთხის სიკვდილის სცენა. მეფის როლის შემსრულებელი გ. ლაპიაშვილი ცოცხალ რეალისტურ სახეს ქმნის. ამ მხრივ უფრო მეტის თქმა შეიძლებოდა რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ შ. ხაჯალიაზე. მას რომ მეტი კონკრეტულობა შეეტანა სახის ნაციონალურ ინდივიდუალობაში.

რადგან სიტყვამ მოიტანა, ამ თვალსაზრისით ყველაზე კრიტიკულ დამოკიდებულებას იწვევს რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვ. მეგრელიშვილის მიერ განსახიერებული მთავარ ბუკინგამის სახე. მსახიობი ახალი სახის სანაცვლოდ ადრე ნათამაშევი როლებიდან რაღაც კომპილაციური გვაწვდის.

ცალკეული ძლიერი სცენებიდან არ შეიძლება არ გამოვყოთ რიჩარდის მეფედ კურთხევისა და უკვე მეფედ ქცეული რიჩარდ გლოსტერის ტრიუმფული სვლა, რომელიც პოლიტიკური სატირის ბრწყინვალე ფორმაშია მოქცეული. სამეფო ზარში აგრძელებს ქედებს. სამეფო კვართით თავდამშვენებული რიჩარდი ფეხის ბრაგუნით ზემოდან მოემართება, ენერგიულად გადასჭრის სცენას, ჩამოდის ტახტის და საკუთარი პერსონის მთელი შეგნებით (ახლა უკვე მაყურებლის ცხვირწინ), ავანსცენასაც ზარზეიმით გაივლის. ეს არის მომაკვდინებელი პაროდია რიჩარდზე და ყველა დროის დიქტატორსა და უზურპატორზე. ამ სცენის მკვეთრ კონტრასტად მოჩანს ძაძებჩაცმულ ქალთა ჯგუფის გაქვავებული სახეები. მგლოვიარე ქალთა ქოროს (ასე იკითხება იგი სპექტაკლში) წინ უდგას რიჩარდის დედა (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. კიკნაძე). მსახიობი პროტოკოლის გრაფიკული ნახატების ძლიერი მონასმების მსგავს გარეგნულ ფორმებს უძებნის სახეს და ღრმად შთამბეჭდავს ხდის როლის პლასტიკურ ნახაზს.

მგლოვიარე ქალთა სცენაში იმის წინააღმდეგ შემართული რისხვის ქანდაკად მოჩანს შვილის დამწყევლელი მოხუცი დედის სახე. ამ სცენას მიიდგან დრამატიზმს და ექსპრესიულობას მატებს ელისაბედ დედოფლის როლის შემსრულებელი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. გვალიშვილი.

დიდ თეატრალურ ეფექტს ახდენს გარდაცვლილთა სიზმრად გამოცხადება. ჯადოსნურად მზადებული, სულის დამამძიმებელი მიღწევები ნანგრევად შემდეგ. მხოლოდ ამისათვის აჩვენებს რიჩარდის და ხვავში მოხვედრილ მძიმე დამნგრეველებს.

წარმოდგენაში სხვა სიახლეებიც ადგილებია არის. ამ დადგმაში თეატრის ხელოვანი ნიჭიერი მსახიობი მონაწილეობს, რომლებიც თავიანთ როლებს პრობლემური კონცენტრირებულებით ასახიერებენ და შესაბამის პარტნიორობას უწევენ მთავარი როლის შემსრულებელს. მცირე საგაზეთო წერილი არ იძლევა ზოგიერთი მსახიობის მუშაობის შეფასების საშუალებას. ეს კი საჭირო იყო განსაკუთრებით კ. აბესაძის, ბ. კოკელაძის, გრ. კოკელაძის, გრ. ნაცვლიშვილის, ა. ჩიქვანიძის, ვ. გვერდაძის, ა. ქელბაქიანის, შ. ხვანიძის, ი. მიქიაშვილის და სხვათა მიმართ.

მეტად სასიხარულო შედეგი გამოიღო რეჟისორის მხატვარ ფ. ლაპიაშვილთან და კომპოზიტორ ა. მაჭავარიანთან თანამშრომლობამ. სპექტაკლი მუსიკალურად მდიდრულად არის გაფორმებული, მიუხედავად იმისა, რომ მუსიკა აქ უადგილოდ ლაკონური და ძუნწია.

სპექტაკლის საერთო მხატვრული სახე ბევრად არის განპირობებული მხატვარ ფ. ლაპიაშვილის ნიჭიერი ნამუშევრით. მხატვრის განსაკუთრებულ მიღწევად მივიჩნია სინათლის „პარტიტურა“ და, რაც მთავარია, მოძრავი რკინის ძელი, რომლითაც წარმატებით გადაიჭრა მრავალსურათიანი ტრაგედიის სცენური გადაწყვეტის პრობლემა.

ქუთაისელთა „რიჩარდ მესამე“ მრავალმხრივ საყურადღებო სპექტაკლია.

ალ. შალუტაშვილი



სვეტიცხოველი.

გიორგი კაჭახიძე

გასაუბრება სიჭაბუკესთან

ყველა ჰიდილს ვერ დავარქვი სახელი,
ვერ გავიგე, გულში ასე რა ფიცხობს!
გამიჯიქდა სატრფიალო ნაღველი,
იქნებ შენთან საუბარმა დამიცხროს.

მომენატრე, სიჭაბუკევ, ნათელო,
შემოდგომა შემოტევას მიბედავს.
ხარდი ისე როგორ აჰყრა, გავთელო,
ისევ ისე რომ არ მეავდეს იმედად.

მომაწოდე დაუცლელი ფიალა,
სიმღერების დამკვნესელი ძალა ხარ,
ბევრმა ტალღამ ისე ჩაიგრიალა,
ძლივს მოვასწარ უშენობით დანახვა.

მამულისთვის ანთებდი სანთლებს
შენი თვალით მიძებნია ღერ-ღერად.
მანიშნებდი, მთელი გულისნადები
მთელი სულის შემართებით გვემღერა.

ამ ქვეყანას არ ვუმზერდით ჩრილდან,
გვახარებდა ყველას ბალხა, მინდორი,
ო, რა ბევრის რა უსიტყვოდ
გვჯეროდა.

უცოდველი გული გვქონდა, მიმნდობი.

მოვდიოდით ჩვენი წლების
მხარდამხარ,
კოშკს ვაგებდით პაპისეულ მიწურთან.
ქვევრის ხმითაც ვებუბუნებდით
ხანდახან,
ახლა იგი, ის ბუბუნი ვის უნდა!

ვიცი, ვიცი, რა სჭირდება დიდ
სუნთქვას,
რომ გაუძლოს ცოდნებებს და
ქარიშხლებს,
მაგრამ ახლა გულს ის ცეცხლი
მითუთქავს:
ბერდებით, წლების ქარი მანიშნებს.

იქნებ ხუმრობს! ეს რა ზღაპრი მაგებს,
ვის რა ვკითხო! სულ იმედად
მყოლოდე.
ისე როგორ გამიმეტებს განგება,
ხალხს სათქმელი რომ ვერ ვუთხრა
ბოლომდე!

იოლე სტანიშიჩი

საბჭოთა მკითხველი კარგად იცნობს ახალგაზრდა იუგოსლაველი პოეტის იოლე სტანიშიჩის შემოქმედებას. მის კალამს ეკუთვნის ლექსების კრებულები „სიკვდილის მიჯნაზე“ და „მოისხანე მელოდიები“. ყურადღებას იქცევს მისი პოემები „ოქტომბერი“, „გულის ღელვა“ და „მზე ახლის თავზე“. ამჟამად სტანიშიჩი ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს უკითხავს ლექციებს იუგოსლავური ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე.

სტანიშიჩი ახლახან საქართველოში იყო. საქართველოს მან მიუძღვნა რამდენიმე ლექსი. პოეტი ეწვია „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციასაც. გვბეჭდავთ ი. სტანიშიჩის ორ ლექსს.

ჩერნოგორია

შენს კლდეებს ასე არ უმღერია,
ჩერნოგორიავ, ქვეყანავ ბრძოლის!
ზეცაზე მარად ლურჯი ფერია,
დაფნის ფოთოლი
ზღვას დასცქერის ორთოლვით.
სროლით შემოგზედა რიგრიგი
მკაცრი, —
ბედნიერებას რომ შეეწირა...
უკვდავნი იყვნენ შენი ვაჟკაცნი,
თუმცა ისინი კვდებოდნენ ხშირად.
კლდეზე ჯიხვივით დიდგა ლეგენდა,
ზეცა თილისმად
კვამლის სვეტს ძერწავს, —
მზე ვერ ჩაგიქრეს.
ანთებულს ვხედავთ,
ვუსმენთ დიდებულ
სიმღერებს შენსას!
ძველთაძველ კოშკებს ფარავს
ლრუბლები, —
თითქოს იმ დღეთა ბრძოლის ხმას
უსმენ..
და თითქოს დღეს ესაუბრები —
აი, შორიდან
ხმა მისწვდა რუსეთს.
კლდეს მოერია
გრიგალი მკაცრი,
მაგრამ იმედი
არ შეეწირა!
უკვდავნი იყვნენ შენი ვაჟკაცნი,
თუმცა ისინი კვდებოდნენ ხშირად.
მტერზე მიდიოდა.
კლდეზე ხმებოდა
სარს ჩამოცმული ქალა მრავალი...
ჩერნოგორიავ,
ფეხზე დგებოდი,
იყავ მებრძოლი სულით მაღალი!
შენს კლდეებს ასე არ უმღერია,
თავისუფლებით ხარობენ მთები,
აქ ცისარტყელა მრავალფერია,
სიყვარულის მოგძახის ხმები.
ჩერნოგორიავ, შენა ხარ ჩემი
ოცნება, სუნთქვა, სიმღერის ძალა.
დიდება ნეგოშს!* ბრწყინავს
ლოვჩენი,**
როგორც კოცონი უქრობი მარად.
შემხარის ლოვჩენს
მზეც დურმიტორი,**
ქვეყანას სწვდება გუგუნი მთიდან.
ისმის რიგრიგის
სიმღერა შორი:
— ჩერნოგორიავ,
მზე ამობრწყინდა!

თარგმანი **ვასილ ლაფერაშვილისა.**

---

* ნეგოში — იუგოსლავიის უდიდესი პოეტი, ფილოსოფოსი და XIX საუკუნის ჩერნოგორიის სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც დასაფლავებულია ლოვჩენის მწვერვალზე.

** ლოვჩენი და დურმიტორი — ჩერნოგორიის უდიდესი მწვერვალები.

ესპანეთის გიტარა

ლამის მეჭ მელანს
შეერია სისხლი პოეტის —
ლიმონების და სიყვარულის
მომღერალისა.
მას ჰქონდა გული ალალი შვილის,
ის ესპანეთის გიტარა იყო,
უყვარდა ხალხის შვილს ხასხასა
მწვანე ნაპირი.
გრენადის ქვებსაც ნაზად ჰკოცნიდ
გარსიას სისხლი
მოითხოვა თავისუფლებამ,
რათა ესპანეთს ეცოცხლა მისას,
რათა ძმათა კვლა არ ყოფილიყო,
რათა დამლამით მთვარის მკრთალ
შუქზე
გიტარას ისევ ნაზ სიყვარულზე
ემღერა რამე ქარის შრიალით,
ყვავილის ხმებით, მტრედის ოცნებით,
შეყვარებულ გოგოს ოცნებით,
ის მწვანე მხარე
სერვანტესის მშობელი არის,
ლოპე დე ვეგამ ჰიმნები უძღვნა,
გარსია ლორკამ სიყვარული
უძღვნა ესპანეთს.
ლორკას ლირიკა
გიტარაა სიყვარულისა,
მძლავრი ხმა არის
უფსკრულიდან ამოვარდნილი.
მგოსნის თვალებში
სასიცოცხლო სინათლე ჩაქრა,
მათ დაუმიზნეს ცისფერი ზეცა...
ბულბულს წაართვეს მღერის უფლება
და დაუწყვიტეს ესპანეთის გიტარას
ღარინი.
ქარი დაატრევს შიშსა და ნაღველს,
მზის ათინათიც თითქოსდა მიწყდა.
თავისუფლება შემოლობილს იქონია
დარჩა.

ჯალათი ფრანკო
მოეულინა ქვეყანას შენსას,
სისხლიან გვირგვინს იწურებს თავზე,
მაგრამ რა მოჰკლავს მშვენიერებას,
სილამაზეს და სიმღერის წყრთას.
არა, ესპანეთს ვერ მოაძრობენ,
ცისის კარები, ვერც შენ, იცოდე,
დაგამუნჯებენ, პოეზიავ. ამ ქვეყანაზე
ვიდრე არიან პოეტები და სიყვარული
მანამ იმღერებს მოარული
შენი გიტარა
კონტინენტიდან კონტინენტამდე.

თარგმანი **ჯამალ ინჯიავ.**

უკვდავი ფლორენციელი

კონსტანტინე გამსახურდია

I

მთელი კულტურული კაცობრიობა დღესასწაულობს ამ ჭერად ალიგიერი დანტეს დაბადებიდან 700 წლის შესრულებას. უცნაური ბედი ეწვია ოთხ გენიოსს: ჰომეროსს, რუსთაველს, დანტესა და შექსპირს.

მათი ბიოგრაფია მოლეტებულად ლეგენდას ემყარება. დამაჯერებლად არაა ცნობილი მათი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები, არა მარტო ეს, მათი ცხოვრების მთავარი მომენტები. ისტორიას ზოგჯერ შემონახული აქვს უნიჭო მეფეების, პაპებისა და სარდლების ცხოვრების უმცირესი დეტალები, ხოლო ზემოხსენებული მხატვრების ბიოგრაფია დაუსრულებელი ჰიპოტეზების ხავანი გამხდარა. დანტეს დაბადების თარიღიც მრავალგზისი კამათის საგნადაა ქცეული. ერთნი ფიქრობდნენ 1265 წელს დაიბადაო, ზოგიც 1260, 1267 წლებს. უმეტესნი — 1265 წელს ვარაუდობდნენ. მთლად ბნელია ჰომეროსის ბიოგრაფია. ცნობილმა ფილოლოგმა ვოლფმა სავსებით უარყო ტრადიციული ცნობა ბრმა მგოსნის გამო გავრცელებული. იგი გულმოდგინედ ამტკიცებდა ილიადა და ოდისეა ხალხური ეპოსიაო და არა ერთი პიროვნების მიერ შეთხზული ქმნილებანი. ფრიდრიხ შილერმა ამის გამო „სულელი ეშმაკი" („Dummer Teufel") უწოდა ფილოლოგს. ცხადია, დამაჯერებლობას მოკლებულია ცნობილი ჰიპოტეზა, რომელიც შექსპირის ქმნილებათა ავტორად სთვლის ფილოსოფოსს ბეკონს.

ჩვენი რუსთაველის ბიოგრაფიის გამო ცხარე კამათია ამ უკანასკნელი საუკუნის მანძილზე.

ბოლოს და ბოლოს ყოველი ისტორია ცალი კიდით ლეგენდას ემყარება. უმიზეზოდ, უსაგნოდ არაფერი შეთხზულა საუკუნეთა მანძილზე. ხომ ამტკიცებდნენ ზოგ-ზოგი პეტრები ბიბლიური კონცეპციები სხვადასხვა საუკუნეში შეთხზული მითებისაგანაო შეკოწიწებულო. უახლესი კვლევის მიხედვით ბიბლია ტოტალური ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ანარეკლია.

ერთმა ჭკვიანმა კაცმა კარგად იხუმრა: თუ ჩვენ ღმერთს არ ვერწმუნებით, ჩვენ ყველანი ბუშები აღმოვჩნდებითო. ისტორია არაა ისეთი იმპერიუტანელი და ეგზაქტური მეცნიერება, როგორიც თუნდაც ფიზიკა და მათემატიკაა. ყოველი ერის ისტორია ლეგენდიდან გამოდის. ასე რომ ეს ამბავი უნდა მოიწონონ ჩვენმა ფილოლოგებმა და ისტორიკოსებმა.

ცხადზე უცხადესია: ერები, ხალხები უსაგნოდ არაფერს იგონებენ. ჰუსტონ სტიუარტ ჩემბერლენმა, სავსებით მართებულად განაცხადა: აბა დამისახელეთ რომელიმე მითი არ-არსებული ცხოველის, ფრინველის, ან თუნდაც მცენარის გამო შეთხზული.

II

დანტეს უკვდავი პოემა „ღვთაებრივი კომედია" ასე იწყება:

„Nel mezzo del cammin de
nostra vita
Mi ritrovai per una selva oscura"
„უსიერ ტევრში, ამ ცხოვრების ნა-
ხევარ გზაზე
ანაზდეულად გამოვეხიზლე გზა-
დაკარგული".

უსიერი ტევრი ეს ის ეპოქაა ბნელი და ამაზრზენი, რომელმაც ვერ იცნო თავისი სულმნათი შვილი. ეს როდი კმარა, სამშობლოდან გააძევა იგი, როგორც ავაზაკი და უღლება აყრილი კაცი. ეს იყო ეპოქა კათოლიკური მისტიციზმის გესლით დაბანგული, თავაშვებული ფეოდალების, რომის გარყვნილი პაპების სათარეშო. ამ ეპოქაში მწვრალი კლერიკალური არისტოკრატიისა და პაპების ნახუტრალით ცხოვრობდა. ალეგორიული იყო ყოველივე არაკათოლიკური კონცეპცია. რომის პაპები დღენიადაგ აქვეყნებდნენ კაცთმძულვარებით აღსავსე ბულლებს. ამ ბულლებში ნაბრძანები იყო კოცონებზე დაეწვათ ურწმუნო დედაბრები, რომელნიც „ჯოჯოხეთის დენა ეშმაკებს" ზობდნენ ყოთობდაცო.

შუა-საუკუნეების ცრურწმენის უდიდესი დოკუმენტია ფრიად პოპულარული შუა საუკუნის წიგნი: „მალეუს მალეფიკარუმ" — ჭინკების გრდემლი. ამ წიგნის მიხედვით ეშმაკეულით შეპყრობილებს ორ კატეგორიად ანაწილებდნენ: „ინკუბი" (ზედმწოლი) და „სუკუბი". შუა საუკუნის წიგნში ნაქადაგებია ბარბაროსული ანტიფემინიზმი, ქალთმძულვარება. („რა არის ქალი, თუ არა და მეგობრობის სამარე, უცილო ბოროტება, სანატრელი უბედურება").

ამას ყოველივეს ქადაგებდა პაპი და მისი კურია, ასე რომ სავსებით გასაგებია დანტეს საუკუნეში ბეატრიჩეს პოეტის გამოჩენება ანტიკლერიკალურ ფაქტად რომ იყო მიჩნეული. (პაპის მიერ წარგზავნილ ერთ ინკვიზიტორს გაუცა: ერთ კრებაზე ჭინკებმა ჩოგვში შესჭამესო. ხამეროდ 41 ჭინკა — ე. ა. ქალი დაუწვავთ).

შუა მაგის VII საუკუნეში ასეთი კურიოზია მოთხრობილი: ერთმა ღვთისმოსავმა კაცმა „ღვთის მოციქულის" შეიცნო, რომ ეშმაკს მღვდლის ანაფორა გადაეცვა და ქადაგებდაო.

რომის პაპებმა მაშინდელი ევროპის ხალხები ჩააბეს ამ გაუგონარ ავანტიურაში, რომელსაც ჯვაროსნული ომი ეწოდა.

რაინდებთან, ფეოდალებთან, ეპისკოპოსებთან ერთად იერუსალიმს გაემგზავრა 200.000 ბავშვი, ისინი ჭირკიდეეკ ბალკანეთის ხანახებში დაიხოცნენ. მთელი ევროპის მოსახლეობა გათანგული იყო ჭინკების პროცესებით, პერმანენტული შიმშილისა და ინკვიზიციისაგან. გერმანელი იმპერატორები თავიანთი ლანდსკნეხტებით შეიჭრებოდნენ ხოლმე ხევგამწარებულ იტალიას, რათა იმპერატორის გვირგვინი მიეღოთ პაპის ხელიდან პეტრე წმინდის ტაძარში, რომში.

თავის ხევგამწარებულ სამშობლოს ეს შემძრავი სტროფები უძღვნა დანტემ:

„ჰა იტალიავ, შე მხევალო, ტანჯვის
ლოგნო,
უმესველო ხომალდო ბარ გრიგალის
შორის,
ოდესღაც ხალხთა მბრძანებელო, ამ
საროსკიპო.

· · · · · · ·

შენს მკერდზე მცხოვრებთ უომრად
ვერ გაუძლიათ,
ცოცხლად შთენილნი დღენიადაგ
სჭამენ ურთიერთს,
თავათ ისინი ვინც საერთო ციხეში
ცხოვრობს".

ასეთი გულისშემძრავი სიტყვები არც ერთ ერს არა სმენია თავის შვილისგან.

1298 წელს საფრანგეთის ტახტის მემკვიდრე სილვის შეებრძოლა. დანტე ხედავდა, რომ ეს პრინცი ფლორენციასაც გადანთქავდა. ამიტომაც „ასი კაცის საბჭოში" დანტემ გაილაშქრა შარლ დე ვალუას წინააღმდეგ.

1301 წელს შარლ დე ვალუა ამალითურთ შევიდა ფლორენციაში, სანტა მარია ნოველაში წარმოსთქვა სიტყვა: ზავის ჩამოგდება მოსთხოვა ფლორენციის მთავრობას. ამის თქმა მოასწრო პრინცმა და მისმა ამალამ იარაღი აიხსნა მაშინ. ქალაქის მცველებთან მომდგარი კორსო დონატის ლაშქარი ფლორენციაში შემოიჭრა, ცეცხლით და მახვილით აიღო ქალაქი. პრიორების საბჭო შეიპყრეს „შავებმა" და სისხლში ამოაზრჩეს „თეთრები". როგორც სხვა ნაწერები, ამ მომენტს უცდიდა რომის პაპი.

პაპმა დელეგატი თავისი წარგზავნა და „ქრისტიანული მოვალეობა" მოაგონა „თეთრებსა" და „შავებს". ამგვარად დამარცხდა რესპუბლიკის მთავრობა. დატუქსულთა შორის აღმოჩნდა დანტეც. 1302 წელს, იანვრის 27-ს გამოქვეყნდა დანტეს და მისი ამხანაგების სამშობლოდან გაძევების დეკრეტი. სავსებით ურცხვად და უმართებულოდ ამ დოკუმენტებში „მექრთამეობას, მატყუარობას" აბრალებდნენ ფლორენციის უკვდავ შვილს.

ამ დღიდან დაიწყო ალიგიერი დანტეს წამებანი და სხვის კიბეებზე უმიზნოდ ხეტიალი.

III

როგორც დანტეს „ღვთაებრივი კომედია", ისე მისი სხვა ქმნილებანი თარგმნილია მსოფლიოს უმთავრეს ენებზე. ჩვენ ქართველებმა აქაც დავიგვიანეთ.

1932-33 წლებში განსვენებულმა ჩემმა მეგობარმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ და მე ვთარგმნეთ დანტეს „ჯოჯოხეთი". კ. ჭიჭინაძისათვის პწკარედები მე გავაკეთე. ეს თარგმანი შემოგვიკვეთა ტფილისის უნივერსიტეტის პრორექტორმა აკად. შ. ნუცუბიძემ. კომედიის ზოგიერთი სტროფი ისე ბუნდოვანია, თვით დანტეს სპეციალისტებს — იტალიელ ფილოლოგებს უჭირდათ მათი ამოხსნა.

მე დიდი დახმარება გამიწია ფრანგი მწერლის ფლორენტინის პროზაულმა თარგმანმა, აგრეთვე საქსონის მეფის იოჰანეს თარგმანმა. ხელთ მქონდა ინგლისური თარგმანი კომედიისა — იზრაელ კოლლენცის გამოცემა, რომელშიაც მოცემულია იტალიურისა და ინგლისურის პარალელური ტექსტები.

ჩვენ მოვერიდეთ ბოლორითმოვანი ლექსით თარგმნას, რადგან ასეთ საქმეს ერთი მწერლის მთელი სიცოცხლეც არ ეყოფოდა. სტეფან გეორგემ — გერმანული ლექსის უბრწყინვალესმა ოსტატმა ძლივს შესძლო ერთი ქების ბოლორითმოვანი ლექსით თარგმნა.

მე ვიცნობ ევროპულ ენებზე თარგმნილ ღვთაებრივ კომედიას და უნდა მოვახსენოთ ყოველგან ვამჩნევდი აზრთა და იდეათა ქსოვილის დამახინჯებას საგრძნობ უხეირო ლექსთობის წყალობით. იგივე ითქმის კრიაგასის მიერ შესრულებულ გერმანულ თარგმანზე. თავისთავად ცხადია: დიდი პოეტური ნაწარმოების თარგმნისას უფრო ძლიერდება ცნობილი სენტენცია: „ტრადუტორე ტრადიტორე". მთარგმნელები მოღალატეებია. ამიტომაც ვარჩიეთ დანტეს კომედიის თარგმნა 14 მარცვლოვანი ლექსით. ეს ზომა ფრიად უხდება დარბაისლურ მეტყველებას, რომელიც დანტეს ეკადრება. მეორე და მესამე წიგნი კომედიისა — „სალხინებელი და სამოთხე" მე მარტო ვთარგმნე, რადგან კ. ჭიჭინაძეს დაევალა ნიბელუნგების ლექსი. დიდზე დიდი ენერგია შევალიე დანტეს პოემის თარგმნას, ამ დროისა და ენერგიის მეშვეობით მე შევძელი [illegible] სამი რომანი დამეწერა.

არც კომენტარების დაწერა იყო ადვილი. ოთხი წლის მანძილზე არ გამომრჩენია არც ერთი სერიოზული ნარკვევი დანტეს შესახებ, როგორც იტალიურ, ისე ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე არსებული.

IV

ღვთაებრივი კომედიის გარდა დანტეულ მემკვიდრეობას ამშვენებს მისი „კანცონიერე". ეს გახლავთ პოეტის სიჭაბუკის ჟამინდელი ლექსები. ცნობილია დანტეს 20 კანცონი, 8 სექსტინი, 10 ბალლადა, 44 სონეტი და 1 სტანცი.

ავტობიოგრაფიულ შრომაში „ვიტა ნუოვა" („ახალი ცხოვრება"), დანტე თვით აღიარებს, რომ იგი ეკუთვნის იტალიურ პოეზიაში დამკვიდრებულ „დოლჩე სტილ ნუოვოს" (ახალი ტკბილი სტილი). ამ წიგნში დანტე გვაძლევს თავის მისტიურ გამოცხადებათა პოეტურ ეკვივალენტებს.

საყურადღებოა დანტეს „დე ვულგარი ელოკვენცია". დანტემ საძირკველი ჩაუყარა იტალიურ ენათმეცნიერებას. პოეტი იტალიურს ვულგარულს — ხალხურს უწოდებს. ხოლო ლათინურს — მარადიულს.

ამ ტრაქტატში მოცემულია დანტესეული პოლიტიკა. ცნობილია დანტეს „კონვივიო" ნადიმი. პლატონის სიმპოზიონის ზეგავლენა სჩანს ამ ნაწარმოებში. დანტეს პოლიტიკურ კრედოს შესაცნობად საყურადღებოა ტრაქტატი „დე მონარხია". ლათინურად დაუწერია დანტეს როგორც „დე მონარხია", ისე მისი ეკლოგები — ჰეგზამეტრით დაწერილი ლექსები.

V

დანტე ითვლება იტალიური ადრიანი რენესანსის უდიდეს ოლიმპიელად.

რენესანსი ნიშნავს ხელახლად შობას. ეს ცნება პირველად შემოიღო ფრანგმა ისტორიკოსმა ჟიულ მიშლემ. მიშლე რენესანსს განმარტავს როგორც განახლება ანტიურობის შენწყვეტისა, ანუ Decouvert du monde აღმოჩენა სამყაროსა, Decouvert du l'homme აღმოჩენა ადამიანისა.

არსებითად რენესანსის აღმომჩენად ითვლება გერმანელი ისტორიკოსი იაკობ ბურკჰარდტი. იგიც უნდა ითქვას, რომ შემდგომ ეპოქაში ახალმა რენესანსისტებმა: ბურდახმა, გოეცმა, ბრანდიმ, ფისტერმა და ჰერმელინკმა გადალახეს ბურკჰარდტისეული კონცეპციები.

იმჟამინდელი ევროპელი ისტორიკოსები და ფილოლოგები ნაკლებად იცნობდნენ წინა აზიის და განსაკუთრებით კავკასიის ხალხთა კულტურას.

ამიტომაც დღესაც მიჩქმალულია ის დიდი როლი, რომელიც შეასრულეს ბიზანტიამ, შემდეგ საქართველომ და სომხეთმა [illegible] რენესანსისა [illegible].

ვინც ამ ორი ქვეყნის [illegible] ჩვენს [illegible] ხელოვნებასა და მწერლობაში. ეს სავსებით გასაგები უნდა იყოს, რამდენადაც ჩვენ და სომხებს უშუალო კავშირი გვქონდა არაბულ და ირანულ ხელოვნებასთან. ნახეთ გელათისა, და წრომის ფრესკები, იქაური მადონები და ანგელოზები. ეს ყოველივე პირწმინდა რენესანსული ქმნილებებია.

მე თავის დროზე აღვნიშნე როგორც ეს ფაქტი, ისე ერთი ფრიად საგულისხმო ამბავიც: ბოლორითმოვანი ლექსი ქართულ პოეზიაში იტალიურზე ადრე შემოვიდა. მე ვგულისხმობ არსენ იყალთოელის მიერ დაწერილ დავით აღმაშენებლის ეპიტაფიას.

უფრო ადრე დიდმა რუსთაველმა მოგვცა ბოლორითმოვანი ლექსით დაწერილი დიდი პოემა, რომელსაც ბადალი არა აქვს იტალიისა და საფრანგეთის პოეზიაში.

განა მარტო კათოლიკური ეკლესია კრძალავდა ადამიანურ ვნებათა პოეზიაში გამოხატვას, ქართულ ორთოდოქსულ ქრისტიანობასაც სძულდა ვნებათა ემანაცია. მოვიგონოთ რაოდენ შეჩვენებულია ქალი შუა საუკუნის წიგნში. რუსთაველის თანამედროვე კლერიკალებიც ასევე აზროვნებდნენ. მიუხედავად ამისა რუსთაველმა ვნებიანად უმღერა თამარის, ნესტანის, თინათინისა და ფატმანის სილამაზეს. იმჟამინდელ ქრისტიანულ პოეზიაში, სავსებით უხმელია ფატმანისა და ავთანდილის ორგიები.

ალიგიერი დანტე უდიდესი ფუძემდებელია რენესანსისა, მედიდარი ალეგორიებით გვამცნობს დიდი პოეტი, რომ ადამიანის სხეული ისევე საკრალურია, როგორც ადამიანის სული.

დანტეს კვალს მიჰყვნენ ევროპელი ხალხების დიდი პოეტები და მხატვრები. ბოლოს მოხდა სასწაული: პოეზიამ და მხატვრობამ სძლიეს დოგმატიზმს. სინათლის გზაზე გამოიყვანეს ობსკურანტიზმით დაბანგული გონება კაცობრიობისა. სწორედ ამიტომაც თაყვანს ვცემთ ჩვენ დანტეს, ამ უკვდავ ფლორენციელს.

ჯანსულ ჩარკვიანი

არაგვი

ძღვნად ირაკლი აბაშიძეს.

„რო გნახე გავიხარეო..."

მე გავიხარე შენი ხილვითა,
მე გავიხარე შენი ნახვითა,
შენი პურითა,
შენი ღვინითა,
შენი სახითა,
შენი რახითა.
მოვსულვარ შენთან კაცი საკარგუმოდ,
ამოვარდნილი
შენი ტოლღიდან,
მოვსულვარ, მკერდზე სიტყვა
დაგამჩნიო
და შენი ნახვა მართლა რად ღირდა.
ერთიც დამისხი,
ერთიც დამისხი,
იქნება სიტყვა უანწზე დამისვას,
ეს სადღეგრძელო იყოს ღამისა,
რუსთაველისა და
და ნესტანისა.

ნიღაბი

არაგვის პირზე ცისკარი მღერის
და მზის სხივებზე მღერის კალმახი.
უფრო მაღალი მთა დამანახვეთ,
რომელიც ცისკარს სულში დამახლის.
ლელე და ლელე.
ლელე და ლელე.
მოდის, ლილინებს ნაცნობ სიმღერას,
არა, არასდროს არ დაიღლება
და მისი ცრემლი არ დაილევება.
სადღაც სამოთხის კარი იღება,
განთიადის და თუთუნის ფერი...
ის მოდის, თამარ მეფის ნიღაბით,
მოდის და ნაცნობ სიმღერას მღერის.

შენ ააშენე, შენ ააყვავე...

რა დაალამებს,
რა დაალამებს...
არა, არასდროს არ დაღამდება.
მთელი არაგვი ისე ლაღანებს,
თავს შეგაყვარებს,
გაგიხარდება.
მთელი არაგვი ისე ლაღანებს,
გაგიხარდება,
თავს შეგაყვარებს.
ახლავე მთელი ხალხი ყაყანებს,
ისეთი პირი უჩანს საყანეს.
ო, ღმერთო,
ყველა ტკივილს გამყარე.
ჩემი ლამაზი ცისკრის სიმღერა,
შენ ააშენე.
შენ ააყვავე.
ვინც ვერ გაუძლებს და დაიღლება.

უნდა ვიჩქაროთ...

თუ გამაღვიძებს,
ის გამაღვიძებს,
არაგვისპირზე მღერის ცისკარი,
სწორედ დაღლილზე,
სწორედ დაღლილზე.
უნდა ვილტვოდეთ,
უნდა ვიჩქაროთ.
სუყველა ძველი ლექსი მიეჩქმალოს.
რომ ძველი სევდაც არ გავიყაროთ,
სანამდე დროა
უნდა ვიჩქაროთ,
უნდა ვიჩქაროთ, ჩემო ცისკარო.

გზა ერთადერთი

კაცისაა თუ მართლა ღვთის არის
ერთი გზაა და
ის არის მხოლოდ.
ერთი გზაა და
მხოლოდ ის არის,
მხოლოდ ის არის, ბოლოსდაბოლოს...
იქ არის შენი ფიქრი და ლოდი.
იქ ყრია შენი სახლისთვის ქვებიც...
ლობე და ყორე,
მდინარის ფონი
და მერე ქრება,
უკვალოდ ქრება...
და ის გზა რჩება,
ის, ერთადერთი,
ის, შენს საფლავზეც
გადადის ღელვით.
მერე, ახალი სიცოცხლე ერთვის,
სიცოცხლე ფერის,
სიცოცხლე ელვის,
გადადის ღელვით
და ნაცნობს შენთვის —
არდადეგების სიმღერას მღერის.
ასეა მარად,
ასეა მუდამ...
შენ ვინ დაგიცდის,
შენ ვინ დაგიცდის...
ქვეყნად სიკვდილი თუ ცხოვრობს
მუდმივად.
ისიც, სად ცხოვრობს
კაცმა არ იცის.
სუყველა ძველი დარდი მიეჩქმალოს,
რომ არასოდეს არ გავიყაროთ,
სანამდე დროა,
უნდა ვიჩქაროთ,
უნდა ვიჩქაროთ, ჩემო ცისკარო.

შევედრება

ვინც ამ დიდი გზის
გავლა იკისრა,
რომ გზა დასტოვოს
დიდი მგზავრისა,
არ მოუშალოთ
სხივი ცისკრისა,
რუსთაველისა
და ნესტანისა.

არ მოუშალოთ
მზერა მამულის,
თუ მის ვარამში
მზესავით იწვის,
რომ ისევ ისე
თქვას სიყვარული,
ულამაზესი
ერის და მიწის.

ჯვარი.

ႡႤႣႬႨႤႰႧႠ ႱႭႴႤႪႨ

ႫႠႫႨႠ ႠႱႠႧႨႠႬႨ

მაშ რატომ სჭირდება კოლმეურნე ლევან გოგნაძის ხმის აღდგენა პროფესორ სიმონ ხერხეულიძეს? ამ კითხვაზე შეიძლება უცებ გვეპასუხნა, მაგრამ მე კიდევ მოუსვენრად რამდენიმე სხვა მაგალითის მოყვანა. ქ. ტყიბულში ცხოვრობს და მუშაობს ერთი სახემშვენიერი ქალი ალა კარბა. მას ბედნიერი ოჯახი აქვს. ჰყავს ქმარი, ჰყავს ბავშვი. როგორც ყველა ქალს, მასაც სიკოხტავე და სილამაზე უყვარს. თვალის უპის კიდეზე რაღაც ჭინჭისკაკლისოდენა სიმსივნე გაუჩნდა. სიმსივნემ ზრდა დაიწყო. აბა წარმოიდგინეთ ახალგაზრდა კოხტა ქალის მდგომარეობა! ხერხეულიძემ ნახა და გადაწყვიტა ოპერაცია გაეკეთებინა. საჭირო იყო თვალის ღვალის გაჭრა და ამ ფაქიზ ორგანოში დანის ფათური. ქალს ჭრილობა უკვალოდ სამუდამოდ დაატყობოდა. ყველას მოეთხრობა, თუ რა შესახედავია დანით სახე დაჭრილი ქალი? ალა საავადმყოფოში დაწვა. მაგრამ როცა უთხრეს, ნაჭრილობევი დაგრჩებაო, შეკრთა, შეშინდა. მისი მეუღლე ახალგაზრდა მეცნიერია, ნოვოსიბირსკში მუშაობს. ჩამოვა და იქნება ნაჭრილობევი ქალის შეხვედრა ქმართან. ყოველმომხდეში, ასე ფიქრობდა ალა, ალბათ, როცა ოპერაციის დღეებს გაუფრთხილდა. პროფესორი მიხვდა ქალის ფიქრს. თვითონაც დაფიქრდა: შეიძლება თუ არა ისე გაკეთდეს ოპერაცია, რომ გარედან ტყავს არ შეეხოს დანა?! თუ ეს მოხერხდება, ქალს სახე ჩვეულებრივად ლამაზი, უჭრილობო დარჩება. ცოტა როდი იფიქრა ხერხეულიძემ ტყვარჩილული ქალის სახის სილამაზის შენარჩუნებაზე და ბოლოს მოძებნა, გზას მიაგნო. ზედა ტუჩიდან თვალამდე ისე გაჭრა, დანის ბილიკი ტყავს არ შეეხო. ბელზე სიმსივნე ავთვისებიანი არ აღმოჩნდა. ქალი განიკურნა კიდეც და თავის მშვენიერი სახე შეინარჩუნა.

შორაპანში ერთადერთი ელექტრო ქარხანაა. მას მეტად კარგი კოლექტივი ჰყავს... ამ ქარხანაში მუშაობს ახალგაზრდა ეკონომისტი ქალი ეთერ კეკნაძე. ლამაზი ქალია ეთერი. ასეთი ტანმშვენიერი და სახემჭყაზარი ქალიშვილები არაერთ ვაჟკაცს ატკიებენ გულს. მაგრამ მოხდა უბედურება. ეთერის ცხვირი ასტკივდა. შეუპოვდა კიდეც. თბილისში ჩამოვიდა, ოპერაცია აუცილებელი შეიქნა. ჯანდაბას, ოპერაციას გაუძლებს კაცი, მაგრამ ცხვირი უნდა გაიჭრაო, ნაჭრილობევი დაეხედება. ასეთი ლამაზი ქალიშვილისათვის ეს ამბავი უდარდოდ როდი ჩაივლის.

პროფესორ ხერხეულიძეს არ გამოეპარა ქალიშვილის სევდიანი თვალები. აქაც მიაგნო სიმონმა გზასა და კვალს. ათი დღის შემდეგ ეთერ კეკნაძე თავისი მშვენიერი სახით საავადმყოფოდან ბედნიერი წავიდა. მართალი რომ თქვას კაცმა რა თავი სტკიოდა ყელ-ყურის პროფესორს, საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ლენინური პრემიის ლაურეატს, იმაზე ეფიქრა, გაეჭრება თუ არა ვისმეს კანი ოპერაციის დროს? მისი საქმიანი მოვალეობაა ადამიანის სნებისაგან განკურნება, მისი მორჩენა.

დიახ, ეს ასეა. მაგრამ სიმონ ხერხეულიძე ისეთი ადამიანია, მას ხომ ახალგაზრდა, ლამაზი მეუღლე და ორი ბოყვერივით ბიჭი ჰყავს, ვის უხარია ახლობელი ადამიანი სახედაჭრილი ჰყავდეს. რასაკვირველია არავის. სიმონმა ამ ქალიშვილების სევდა, მათი ოჯახის დარდი თავისად მიიღო, იფიქრა და წამალიც მონახა. ასეთ ქცევას ადამიანური ჭკვა აქვს. ასე იქცევა ამ ქვეყანად კაცური-კაცი, ნამდვილი ადამიანი, ასე მოიქცევა ყოველთვის ნამდვილი საბჭოთა მეცნიერი, ჩვენი მშვენიერი ნამდვილი სახალხო მეცნიერია, ხალხის მოღვაწე, მისი ცხოვრების უახლოესი ადამიანია. იგი იმით კი არ ამაყობს, რომ მან ესა თუ ის დიდი აღმოჩენა მოახდინა და ამიტომ ხალხისგან ის შორს დგას, რაღაც სიდებურებით უფრო მაღლა აუდგა. არა, იგი პირიქით უფრო დაუახლოვდა ხალხს, მისი ყოველდღიური ცხოვრების მონაწილე გახდა, მისი დარდის და სიხარულის თანაზიარი შეიქნა. სწორედ ასეთია პროფესორი სიმონ ხერხეულიძე. ამიტომ იყო, რომ კოლმეურნე ლევან გოგნაძის ხმის დაკარგვა გულთან ასე ახლოს მიიტანა სიმონ ხერხეულიძემ. მან გოგნაძეს ზედმიწევნით მეთვალყურეობა დაუნიშნა. ახალგაზრდა ექიმს დათო ყუფიანს დიდ პატივსა სცემს პროფესორი. ყველაზე რთულ სამკურნალო საქმეებს ანდობს. იგი ყველა ოპერაციების განუყრელი მონაწილეა, მისი თანაზიარია. რასაკვირველია, ლევან გოგნაძეც მას ჩააბარა პროფესორმა. დათო ყუფიანი ძმასავით უვლიდა და ელოლიავებოდა ლევანის დაკლებულ ყელსა, მის ჯანსა და ღონეს. დღეები დღეებს მისდევდა და გოგნაძეს ყელი არ უსწორდებოდა, სასუნთქავი მილი გამრუდებული ჩანდა, ნაკერევებში ნაწიბურები ცუდად წამოიზარდა. ჰაერი სუნთქვისთვის არ ჰყოფნიდა. რა არ ილონა სიმონ ხერხეულიძემ და გამოიგონა. რეზინის მოქნილი მილი ჩაუდგა, ყელი გასწორდებოდა, შემდეგ ამოიღეს და ნაწიბურები შეასწორ-შემოასწორა. სასუნთქავის ქვედა ნაწილი დანით ჩასჭრა და მერმე ნემსით ამოკერა. მაინც ჯინზე იდგა ლევანის ყელკიდური. მართალია ხმა ჰქონდა, მაგრამ ლაპარაკი არ შეეძლო, სიტყვებს ადამიანის გასაგონად ვერ მარცვლავდა. ყოველდღე, შემოვლის დროს დათო ყუფიანი გულდასმით ჩასცქეროდა ლევანის ყელს სიღრმეში და თუ რამე ცვლილებას შენიშნავდა იმ წუთშივე პროფესორს მოახსენებდა. არა ერთი და ორი საათი უფიქრიათ და უმსჯელიათ ორივეს ლევანის მდგომარეობის შესახებ. ეტყობა პროფესიული თავმოყვარეობა ძლიერად იღვიძებს ასეთ დროს ადამიანებში.

— ხმა უსათუოდ დაუბრუნდება, ლაპარაკს უსათუოდ დაიწყებს, მხოლოდ ჩვენ აუცილებლად უნდა წესრიგში მოვიყვანოთ მისი ყელკიდური. ეს კი დროს ითხოვს, მოთმინებას საჭიროებს. — დაჟინებით ამბობდა სიმონი. პროფესორი და ექიმი დათო ყუფიანი ძალღონეს არ იშურებდნენ ლევანისათვის. დრო კი გადიოდა. ლევან გოგნაძე გულხური ღიმით და მოთმინებით ელოდა საშველს. მას ნამდვილად სჯეროდა, რომ ხმას ამოიღებდა და დალაპარაკდება. ეს კი მისი აზრით სასწაული იქნებოდა. სჯეროდა რომ ამ სასწაულის ავტორი აუცილებლად სიმონ ხერხეულიძე იქნებოდა. ისიც ღრმად სწამდა რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც ეს აუცილებლად მოხდებოდა. ამის რწმენას მას ვერც ერთი ექიმი ვერ შეუცვლიდა.

დრო კი მიდიოდა. ბუნების მიერ შექმნილი ადამიანის ხორხი და სასუნთქავი მილი, რომელიც უბედურმა შემთხვევამ დაამახინჯა ახლა ექიმების ხელს ძნელად ემორჩილებოდა. დიდი ხნის შემდეგ ბოლოს და ბოლოს იმას მიაღწიეს, რომ ლევანი დაბალი ხმით უკვე სიტყვებს მარცვლავდა.

ეს კი დიდი ამბავი იყო.

ამ გარემოებამ გაუათკეცა ენერგია პაციენტსაც და სიმონ ხერხეულიძესაც.

— რას გადაყევი ამ კაცს ადამიანო! — შეეკითხა გაკვირვებით ერთი ნაცნობი, — დაბალ ხმაზე რომ ილაპარაკოს, ვითომ ქვეყანას რაიმე დააკლდება.

სიმონი მიუბრუნდა.

— ჯერ ერთი, მე მეცნიერი ვარ და ავადმყოფობასთან ჭიდილში მინდა გავიმარჯვო. ეს გამარჯვება უნდა იყოს სრულყოფილი, ნამდვილად ყოველმხრივი. მეორე, ლევანი მეტად საინტერესო კაცია. მას, სანამ ცოცხლობს, არ უნდა რაიმე სიმარტოვე ჰქონდეს. მეც უნდა დავეხმარო, ეს მისი უკვდავმოზილესი სურვილი შევუსრულო. მე მწამს ამას შევძლებ.

შემკითხველი, რასაკვირველია, გაჩუმდა და უცებ გაშორდა პროფესორს.

* * *

თქმულება სიტყვის ტაძარზე

წინათ, სულ წინათ ორი მეზობელი სოფელი, რომლებიც აქამდე კეთილად და მეზობლურად ცხოვრობდნენ, მოულოდნელად სამტროდ აიმალა. ამის მიზეზი თითქოს სულ უბრალო იყო. ორივე სოფელი მთის კალთაზე იყო გაშენებული, შუა მდინარე ჩამოუდიოდათ. მხატვარიც კი ვერ იტყოდა სილამაზით თუ რომელი სჯობდა! ორივეს ბაღ-მინდვრები და ვენახები სავსე იყო ყურძნის მტევნებით და პურის ხვავრიელი თავთავებით. მდინარეში იმდენი თევზი მრავლდებოდა ორივე სოფელს ყოფნიდა, ბაღში ხეხილთა ტოტები იხნიქებოდა. ველზე ყვავილთა სიმრავლე თვალს იტაცებდა. ხალხი მეტად შრომისმოყვარე და მხიარული იყო. ნამდვილად ბედნიერად ცხოვრობდნენ. ნამდვილად, როგორც ჩვევია ბედნიერ ადამიანებს. ორივე სოფელს მუსიკა და სიმღერა უყვარდათ. საოცარი ის არის: ამ სოფლებში დაბადებულ თითქმის ყველას სიმღერის ნიჭი დაჰყოლოდა, იშვიათი ხმა ჰქონდათ, გულებზე კი ყოველთვის კარგად იყვნენ და ისეთ სიმღერებს მოუხმობდნენ, რომ გულს გაგიხარებდნენ. დღესასწაულებიც კი ჰქონდათ დაწესებული. როდესაც ხორბალსაც და ყურძენსაც დაბინავებდნენ, ყველა ქორწილს მიალაგ-მოალაგებდნენ. ეს დღე სწორედ მაშინ იყო დაწესებული. ამ დღეს ორივე სოფელში „სიმღერის დღეს" უძახდნენ. გაღმა მდინარის ერთ ნაპირზე ერთი სოფელი იკრიბებოდა, მეორეზე — მეორე სოფელი.

იწყებოდა სიმღერებით დაჭიდება.

სიმღერები, მაგრამ რა სიმღერები! მათი ხმებისგან ცას თაღი სცვიოდა და მიწას რძე მოერწყოდა, ენებისგან ყვავილებსაც კი სურნელება ემატებოდათ. ჯერ ძველებურს იტყოდნენ, მამაპაპის შეთხზულს და ხანით დამშვენებულს. მერე ახალი სიმღერებით შეეჭიდებოდნენ ერთმანეთს, ერთი დღე და ერთი ღამე ცას შეძახილებდნენ, საგალობლებით გულს გაიხარებდნენ, სულს მოიოხებდნენ. მერე ბედნიერებით აღსავსენი დაიშლებოდნენ. ორივე სოფელს ერთი მშვენიერი წესიც ჰქონდა. ყველაზე კარგ მომღერალს, მდინარის შუა რომ ულამაზესი ყვავილებით სავსე ბორცვია, ნავით იქ მიიყვანდნენ, იქ ამღერებდნენ და ამის შემდეგ ზეიმით დაიმშვიდობდნენ. ყოველ წელს თითქმის მამაკაცები ხვდებოდნენ ამ რჩეულთა შორის, იმ წელს კი ერთი სოფლიდან რომ ვაჟი მიიყვანა, მეორიდან ყვავილებით შემკული ნავით ქალწული მოაცურეს. გაოცდა სოფლები ამას არ ელოდნენ. იცოდნენ, მაგრამ რა იცოდნენ! გაღმა-გამოღმა ორივე სოფელი გალურსული, გულისკანკალით უსმენდა მათ. ქალ-ვაჟი ერთმანეთს სილამაზით ეცვნენ.

ორივე სოფლის უხუცესი ახალგაზრდები გახლდნენ. ქალმა რომ ვაჟის ხმა გაიგონა, გულმა და სხეულმა [illegible] ვაჟმა კი თვალებში ჩახედა თუ არა, იმ წუთშივე გაიფიქრა:

— თუ ვინმე ჩემი ცოლი უნდა გახდეს, ეს მხოლოდ მან უნდა იქნეს.

აი, სწორედ ამაზე აიშალა ეს სოფელი.

ქალის სოფელმა მოისურვა ქალწული თავისივე სოფელში გათხოვილიყო.

— კარგი სიმღერის მღერელს ხშირად შვილიც კარგი მომღერალი გამოუვა. ამიტომ ამ ქალიშვილს სხვაგან ვერ გავათხოვებთ, თავის სოფელში მონახოს საქმრო-ვაჟი.

ვაჟის სოფელმა ეს იუკადრისა.

— ასეთი ჭაბუკი სოფელს არა ჰყავს, მას უარი როგორ გაუბედეს.

იქამდის მივიდნენ, ტრფიალი ქალ-ვაჟი ერთმანეთს ვერ ხვდებოდნენ. გაბრაზებულმა ქალის სოფლის ახალგაზრდებმა ღამით მდინარეზე გადებული ერთადერთი ხიდი ჩაანგრიეს. ეს კი მეტისმეტი მოუვიდათ, სოფლის დარბაისლები ასეთ გამწვავებას არ მოელოდნენ. ჩაფიქრდნენ, გონს მოეგნენ.

მაშინ ორივე სოფლის მოხუცები შეიკრიბნენ, იმსჯელეს და გადაწყვიტეს: თუ ვაჟი დაებადათ, მან უსათუოდ ქალის სოფლიდან უნდა აირჩიოს საცოლე. თუ ქალი — იმავე სოფელში უნდა გათხოვდეს. ამ პირობით შეუღლდა ქალ-ვაჟი. მათი ცოლ-ქმრობა მართლაც ბედნიერება იყო. ყოველ საღამოს მუშაობის შემდეგ დასხდებოდნენ ორივე და ისეთ სიმღერას წამოიწყებდნენ, ხეს და ქვას სულს ჩაუდგამდნენ. წარბს გაუხსნიდნენ, ღიმილს მოჰგვრიდნენ. ორივე სოფელი შესცქეროდა ამ ნეტარებით სავსე ცოლ-ქმარს. ხშირად მოდიოდნენ მათთან სოფლის ახალგაზრდები და მოხუცები სიმღერის მოსასმენად. შემოიკრიბებოდნენ ეზოში და მათი საამური საგალობლებით ყურებს გამოიტკბობდნენ.

მალე სოფელში ხმა გავარდა ქალის ორსულობის შესახებ. მართლაც ქალი თანდათან სიხარულში შედიოდა. კიდევ უფრო დამშვენდა იგი, უფრო მომხიბვლელი გახდა.

ერთ ღამეს სოფელი ქალის კივილმა გააღვიძა. ყველანი მიხვდნენ, მშობიარობის დღეს მიაღწია! დილით, მზის ამოსვლასთან ერთად, ორივე სოფელმა მეტად სასიხარულო ამბავი გაიგო: ქალს ტყუპი ქალ-ვაჟი დაბადებოდა. დიდი სიყვარული იცის სოფელმა და ამიტომ ყოველ ოჯახში ტყუპების სადიდებლად ლხინი გაიმართა. ქალის სოფელში ხომ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დათქმის თანახმად, გაიზრდებოდნენ თუ არა ახლადდაბადებულნი, ვაჟსაც დედის სოფლიდან უნდა მოეყვანა ქალი და გოგონასათვისაც იმ სოფელში უნდა გამოენახათ.

მთელი წელი ორივე სოფელში ლხინი არ გაცივებულა, ყოველ საღამოს გაღმა და გამოღმა ნანას მღეროდნენ, ბალღებს ტკბილად დაეძინებათ, სიზმრებიც კარგი ჩაეყვებათო. ბავშვები თანდათან იზრდებოდნენ და მშვენდებოდნენ, გოგოს მთვარისფერი სხეული დაჰყვა, მზითი და ელვარე, ვაჟის ხორბლისფერი სჭარბობდა. მარილიანი ბიჭი ჩანდა. მალე ფეხი აიდგეს, ის კი არა, სირბილიც დაიწყეს, მხოლოდ სიტყვის თქმას ჯერ ვერც ერთი ვერ ახერხებდა.

პირველად დედამ შენიშნა ეს უბედურება და შიშით თვითონ კინაღამ დამუნჯდა. დიდხანს უმალავდა ქმარს თავის ეჭვს. ერთ ღამეს მაინც ვერ მოითმინა და მეუღლეს გაანდო თავისი ნაფიქრალი. ქმარი სიცილით მოკვდა, ჩვენი შვილები უენოდ როგორ შეიძლება დარჩნენ.

დრო გადიოდა, ბავშვებს ტუჩიდან მხოლოდ ბაგილი ამოსდიოდათ. სიტყვას კი ვერ მარცვლავდნენ.

დედას არც ის გამოეპარა, რომ ბავშვებს სმენაც არ ჰქონდათ. სოფელი გაიგდა, დაიჩოქა. ჯერ არავის ახსოვდა ამ სოფელში ყრუ-მუნჯი გაჩენილიყოს. ის კი არა, ამ სოფლის შვილს რომ არ ემღეროს, არავის გაეგონა. ახლა კი უცებ ტყუპი ქალ-ვაჟი ყრუ-მუნჯი გაჩნდა. მერე ვისი შვილები იყვნენ? მათი დედ-მამა სოფლის ბულბულებად ითვლებოდნენ. რა უნდა ეფიქრათ, სად უნდა წასულიყვნენ, ვისთვის უნდა მიემართათ, არ იცოდნენ.

ბავშვების მამას სახეზე ღრუბელი დაედო. მისი ღიმილი გაქრა. ადამიანებთან შეხვედრას ერიდებოდა, გაურბოდა. დედას ცრემლი განუწყვეტლივ სდიოდა თვალთაგან. ჩაკვდა სოფელი. დამუნჯდა. არც გაღმა და არც გამოღმა ადამიანის სიმღერა აღარავის გაეგონა. მზიანი დღე იყო თუ ავდარი, სოფელი მაინც უსიხარულოდ აღამებდა და ათენებდა. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. ისევ მოიყარეს თავი სოფლის დარბაისლებმა მოხუცებმა, იფიქრეს და იმსჯელეს. ბოლოს გადაწყვიტეს მხედრები ჰკეზავნათ ქვეყნის ყოველ კიდეებზე, იქნებ ექიმი მოეძებნათ სადმე ან მათი ჭირის მოსარჩენად წამალი რაიმე ეშოვნათ. ხუთი ქველი ვაჟკაცი შეარჩიეს, დალოცეს და გაუშვეს. ქვეყნის ოთხ კიდეზე ოთხი ვაჟი გაამგზავრეს, ერთიც ქვეყნის შუა გულში წავიდა უჩრდილო.

ყველგან იარეს. ქვეყანა მოიარეს და მოიკითხეს, გაიკითხეს, გასავალი გაიგეს.

ორი წელი იარეს მხედრებმა და ვერაფერი გაიგეს. არსად არავის არაფერი იცოდა ყრუმუნჯის ენის და სმენის აღსადგენი წამლისა. ჯერ ერთი დაბრუნდა, მერე მეორე, შემდეგ მესამე და ბოლოს მეოთხეც დაბრუნდა [illegible] სოფლის ბოლოსკენ. მეხუთე ჯერ არ ჩანდა. სწორედ ის ვაჟი იყო, ქვეყნის შუაგულში წასვლა რომ უბრძანეს. დაბრუნებულნი ჰყვებოდნენ, ბევრი ექიმი ვნახეთ, კუტებს ფეხს უდგამენ, ბრმებს თვალს უხელენ, მაგრამ მუნჯებისათვის ენის ამოდგმა და ყრუებისთვის სმენის დაბრუნება არავის არ შეუძლიათ.

ერთ საღამოს მეხუთემაც მოაშურა ცხენი სოფელში. როგორც კი სახეზე დაინახეს, ყველა მიხვდა, რომ მხედარს ცუდი ამბავი არ მოჰქონდა.

მოხუცები მეხუთე წარგზავნილის მოსასმენად შეიკრიბნენ. ვაჟმა მკერდზე ხელი დაიწყო და დაიწყო.

— ქვეყნის შუა გულში ქალაქი ქალაქზეა გაშენებული. იქ ექიმიც ბევრი ცხოვრობს და მკურნალიც. ყურის ექიმებიც ცოტანი როდი არიან, მაგრამ ყრუსა და მუნჯს ყურსა ვერ არჩენს, ენასა ვერ სჭამლობს. მარტო ინდოეთის ერთ ქალაქში, ერთი ბრძენი კაცი ყოფილა. მიხვალ, გასინჯავს, თუ შეატყობს, რომ მორჩები, მაშინვე გეტყვის, თუ არა, უარით გამოგისტუმრებს. გასამრჯელოს კი მეტად ძვირს ითხოვს თურმე.

ორივე სოფელმა არაფერი დაიშურა, თუ კი რაიმე ჰქონდათ, შეაგროვეს, მერე დღესვე გაამზადეს სამგზავროდ ბავშვები. მშობლებთან ერთად სამი რჩეული ვაჟკაციც თან გააყოლეს.

იარეს, იარეს და დასახელებულ ქალაქში ჩავიდნენ. მოიკითხეს, ვისაც ეძებდნენ. მოიკითხეს და გაიგეს: ბრძენი ექიმი მეფის სასახლეში ცხოვრობსო თურმე. იქ შესვლა არავის შეეძლო. მხოლოდ ყოველ საღამოს ბრძენი ექიმი თვითონ გამოდიოდა ბაღში მაღლივიდ. გლახის ტანსაცმელს იცვამდა, გლახაკებშიც გაერეოდა და ისე დადიოდა.

რა უნდა ექნათ მოსულებს, ისხდნენ და ელოდნენ.

ხომ იცით ხალხს არაფერი გამოეპარება. ამ უცნაური ბავშვების და მშობლების შესახებ მთელს ქალაქში გაიგონა ამბავი. ყველას შეეცოდა, ყველას გული მოეწყა. ყველამ მოისურვილა მათი ნახვა. ერთ დღეს გლეხიშვილმა მოხუცმა ერთი უცნაური გლახაკი შენიშნა.

— ღმერთი გწყალობდეთ, მართლა შორიდან მოსულხართ? — იკითხა მან. მოხუცებმა აუხსნეს, საიდანაც იყვნენ. გლახაკმა გაიცინა სადამდე, გაკვირვებული ბრძენი ექიმის სახელი. მოხუცები მოუყვნენ გლახაკს თავიანთი სოფლების ამბავს.

— ნუთუ ყველა მღერის თქვენს სოფლებში?! — გაიცინა და არ დაიჯერა გლახაკმა.

იმ საღამოს მეფის გამოგზავნილმა კაცებმა მოხუცები სასახლეში წაიყვანეს.

რა მარმარილოს სასახლეები არ ნახეს მოხუცებმა, რა თვალწარმტაცი ბაღები არ იხილეს, რა ულამაზესი ტბები არ შეათვალიერეს. ერთ ოქროს ბოგირზე გადიდნენ და ვარდისფერ მარმარილოს სასახლეში ამოყვეს თავი.

უზარმაზარ დარბაზში, რომელიც ფასდაუდებელი ხალიჩებით იყო მოფენილი, თვით მეფე და მოხუცი კაცი დახვდათ. ბავშვების დედა გუმანით მიხვდა მოხუცის და მათთან დილით მისული გლახაკის მსგავსებას.

— ის არის, ის! — ჩურჩულებდა დედა. მეფემ ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხათ.

— ნუთუ თქვენს სოფელში ამ ორი ყრუ-მუნჯი ბავშვის გარდა ყველა მღერის?! ეს მერამდენედ ეკითხება მეფე მოსულ სტუმრებს.

— მაშინ, იმღერეთ რამე, ჩვენ ყურს დაგიგდებთ.

— რა გვემღერება, მეფევ, — ამოიღო ხმა ბეჭრულმა მამამ. — რაც ჩვენი ბავშვების ყრუ-მუნჯობა შევიტყვეთ, მას შემდეგ ორივე სოფელში არცერთ ადამიანს არ ამოუღია ხმა. სანამ ბავშვები ასეთები არიან, მე და დედამისს რა გვემღერება!

— ჩვენი ხათრით იმღერეთ, მერმე ბავშვების ექიმობაზე იფიქრებს ჩვენი ბრძენი ექიმი. — გაიხედა მოხუცისკენ მეფემ.

მოხუცი ჩაფიქრებული ჩანდა. იგი თვალდაუხამხამებლად მისჩერებოდა ჩამოსულებს. სახეზე ქმნება დასტყობოდა, თვალებში ცეცხლი უციმციმებდა.

— საოცარი ხალხი ყოფილა იმ სოფლებში, კარგი გულის ხალხი ყოფილან. როგორც ჩანს, ამ ბავშვების დაბადებამდე ბედნიერებაც მათს სოფლებში ყოფილა შეხიზნული. იმღერეთ, — მიუბრუნდა მოხუცებს. მეფე გთხოვთ და იმღერეთ. ბავშვებზე ჩვენ ვიფიქრებთ.

მოხუცებმა ჰანგები შეაწყეს. ბავშვები არაფერზედაც არ იყვნენ, თუ რა ხდებოდა მათს გარშემო. მოეწონათ მეფის ძვირფასი, ბრჭყვიალა ტანსაცმელი. მას უღიმოდნენ. მშობლებმა იმედი ჩაესახათ გულში და თავიანთ მღერებს აბიწყეს. იმასაც წინ წამოიწყეს.

უცებ მეფის და ბრძენი ექიმის ყურები საოცრად საამო ხმებმა და სიმღერამ აავსო. ბევრი რამ ენახა მეფეს და მის ბრძენ ექიმს, ბევრი სიმღერა გაეგონათ, მაგრამ ასეთი ჯერ არ სმენოდათ. ეს არ იყო ადამიანთა სიმღერა, ღმერთების საგალობლად ეჩვენათ მეფეს და ბრძენს ეს ხმეულები. დიდი ხანია არ ემღერათ ცოლსა, ქმარსა და მათს მეზობლებს, იმ დღით თითქოს ერთბაშად ამოიმღერეს დიდი ხნის საგალობელი. სადაც კი მათმა ხმამ მიაღწია, ყველა მსმენელი გაოცებით გაირინდა მოსასმენად. ქალაქში მოძრაობა შეწყდა, ყველამ მეფის სასახლისაკენ დაიწყო ყურება. დამთავრდა თუ არა სიმღერა, მეფემ ბრძანა:

— მე მეფე ვარ, ეს ბრძენი ექიმი კი ჩემი მასწავლებელია. პატარაობიდან მის ხელში გავიზარდე. მე უიმისოდ არ ვცხოვრობ, ის კი უჩემოდ ვერა ძლებს. ერთმანეთისა გვჯერა. ერთმანეთი გვიყვარს. მხოლოდ ერთ რამეში ვერ შევთანხმებულვართ: ის ამბობს შეიძლება ქვეყანად იყოს სახელმწიფო, სადაც ყველა ბედნიერი იქნებაო. მე კი ეს არა მჯერა. მე მწამს, რომ ერთ ოჯახშიაც არ შეიძლება ყველა ბედნიერი იყოს. ბედნიერი სოფელი ხომ ამ ქვეყანად არ შეიძლება იყოს. თქვენ კი სულ სხვა ამბავს გვიყვებით. ჩვენ უნდა წამოვიდეთ თქვენს სოფლებში, ვნახოთ და დავრწმუნდეთ ნათქვამის სისწორეში.

— მეფეო, ახლა, როცა ეს ბავშვები დაიბადნენ, ჩვენს სოფლებში ბედნიერებას თავს აღარავინ გრძნობს! — თქვა ერთმა მეზობელმა.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლიტ. საქართველო" № 26.

გულმართალი შემოქმედი

ამ ცოტა ხნის წინათ ერთმა ახალგაზრდა ჟურნალისტმა ალექსანდრე ფადეევის რომანი „ახალგაზრდა გვარდია" გადმომცა და მითხრა:

— მეორედ ვკითხულობ. ჩემი აზრით, ომის თემაზე დაწერილ რომანებს შორის ყველაზე ძლიერია. თარგმანიც მომწონს. მასში რუსული ენის სურნელება იგრძნობა.

— იცნობთ მთარგმნელს?

— სამწუხაროდ, არა, ისე კი გაგებული მაქვს, პოეტი და ცნობილი მთარგმნელია.

ამ ახალგაზრდა ჟურნალისტისათვის მაშინ არ მითქვამს, რომ „ახალგაზრდა გვარდიის" მთარგმნელი მწერალი პოლიო აბრამია ხუთი წელიწადია სახლში ზის და გარეთ არ გამოსულა, რომ იგი ლოგინზეა მიჯაჭვული.

პოლიო აბრამიას ომამდეც ვიცნობდი. გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში ხშირად მოდიოდა ბიძინა აბულაძესთან, მოჰქონდა ლექსები, ზოგჯერ ნარკვევებიც.

პოლიოს შევხვდი ომის შემდეგაც. ეს იყო 1946 წელს. მაშინ, როგორც დივიზიის წითელარმიული გაზეთის რედაქტორს, ხშირად მიხდებოდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" ქართული გამოცემის რედაქციაში მის რედაქტორთან მწერალ ვანიკ დარასელთან მისვლა.

მერე პოლიომ „კომუნისტის" რედაქციაში დაიწყო მუშაობა. დემობილიზაციის შემდეგ მეც ჩემს მშობლიურ გაზეთს დავუბრუნდი და რამდენიმე წელი ერთად ვმუშაობდით.

ახლა კი, ამ ახალგაზრდა ჟურნალისტთან შეხვედრამ კვლავ გამახსენა ძველი მეგობარი და, აღარ გადამიდვია, მეორე დღესვე მოვინახულე.

საწოლიდან წამოდგომა უჭირდა. მეუღლის დახმარებით და ყავარჯნის მოშველიებით ერთიორი ნაბიჯი გადმოდგა და ჩემს გვერდით სავარძელზე ჩამოჯდა.

— ეს ოხერი, განუკურნებელმა სენმა დამრია ხელი, — თქვა პოლიომ. — მე კი არ მინდა დავემორჩილო.

პოლიომ თავისი ცხოვრების ექვსი ათეული წელი თუმცა უკან მოიტოვა და მეშვიდე ათეულის ერთიორი წელიც გაცილდა, მაგრამ არ კარგავს ოპტიმიზმს, კალამს არ სწყდება, ლოგინს მიჯაჭვულიც იბრძვის მკითხველთან. გამოსაცემად კვლავ ახალ ნაწარმოებს მზადებს.

შეიძლება ზოგიერთმა ახალგაზრდა მკითხველმა არ იცოდეს, რომ პოლიო აბრამიას ცხოვრების მეტად შინაარსიანი გზა აქვს განვლილი. იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში აჭარის რესპუბლიკურ გაზეთ „ფუხარაში" მუშაობდა. შემდეგ გაზეთ „რუსთავში", ჟურნალ „მნათობსა" და „ტარტაროზში" („ნიანგის" წინამორბედი) თანამშრომლობდა, 1938 წლიდან კი საქართველოს რადიოში მთავარი რედაქტორი იყო.

პოლიო აბრამია ჭაბუკობიდანვე წერდა ლექსებს, პირველი ლექსი იოსებ იმედაშვილის ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში" დაიბეჭდა. მისი ლექსების ცალკე კრებული კი წიგნად 1924 წელს გამოვიდა.

ქართველი მკითხველი პოლიო აბრამიას, უმთავრესად, იცნობს, როგორც მხატვრული ლიტერატურის კარგ მთარგმნელს. მან თარგმნა საქვეყნოდ ცნობილი მხატვრული ნაწარმოებები — ანრი ბარბიუსის „ჯალათები", ნიკოლოზ ოსტროვსკის „ქარიშხლით შობილნი", ეფგრაფის და ჟუ- რის „ცხოვრება ნიკოლოზ ოსტროვსკისა", ალექსანდრე ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია", ვასილ აჟაევის „მოსკოვს დაშორებით", მარკოვის „მონადირის მოგონებები", ვადიმ სობკოს „ჯარი", მაკარენკოს „პედაგოგიური პოემა", ვანდა ვასილევსკაიას „ცისარტყელა", ბორის პოლევოის „ამბავი ნამდვილი ადამიანისა".

მკითხველის მადლიერების ღირსია მიიღეს პ. აბრამიას ორიგინალური ნაწარმოებები, მათ შორის ლექსების კრებული „ოქროს აფრები", ნარკვევები „ალაზნის პირას", „თემურ თარბა", „დღეები კოლხიდაში", საბავშვო პოემა და ზღაპარი: „მელია", „მელია და ცხვარი".

მიუხედავად ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობისა, მწერალი კვლავ მხნედ არის და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას განაგრძობს. ეხლა დაამთავრა თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა ალექსანდრე ფადეევის „პარტიზანული მოთხრობები" და ივანე ნიკიტინის „ტანტალი და არაბი" („ჯურღა").

დიდი სამამულო ომის წლებში პოლიო აბრამია ჩრდილოეთ კავკასიისა და სამხრეთის ფრონტებზე იმყოფებოდა, საფრონტო გაზეთების რედაქციებში მუშაობდა და კალმითა და ავტომატით თავდადებულად იბრძოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ბრძოლაში იგი დაიჭრა კიდეც და სწორედ ეს ჭრილობა გახდა მისი ჯანმრთელობის შერყევის მიზეზი. ნამდვილი მწერალი ამაყობს, რომ საკუთარი სისხლი დაღვარა საყვარელი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ლოგინმიჯაჭვულ მწერალს და მოქალაქეს პოლიო აბრამიას მადლიერი მკითხველი დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებას უსურვებს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

არჩილ კოკილაშვილი

ამას წინათ ერევანში სტუმრად იყო თბილისის გორკის სახელობის კულტურის სახლთან არსებული ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომლის ხელმძღვანელია ა. დოლიძე. ქართველმა მოცეკვავეებმა მოძმე სომხეთის მხატვრულ კოლექტივებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კოსმონავტების ვ. ტერეშკოვა-ნიკოლაევას და ა. ნიკოლაევისადმი მიძღვნილ შეხვედრა-კონცერტში. ქართველმა გოგონებმა და ჭაბუკებმა პირველ კოსმონავტ ქალს მიართვეს ქართველი ქალის მანდილი.

სურათზე: ანსამბლის წევრები კონცერტზე.

ფოტო მ. როსტიაშვილისა.

„პრეს-ატაშე ტოკიოში"

მეტად საინტერესო ამბავი მოხდა ამას წინათ ქ. სოჭში. აქ გასტროლებზე ჩამოსული იყო კრასნოდარის დრამატული თეატრი. თეატრმა სოჭელ მაყურებლებს უჩვენა ცნობილი მზვერავის — რიჰარდ ზორგესადმი მიძღვნილი სპექტაკლი „პრეს-ატაშე ტოკიოში".

სპექტაკლის მსვლელობის დროს დარბაზში მსხდომთა ყურადღება მიიპყრო იაპონურად ჩაცმულმა ქალმა, რომელიც დიდი მღელვარებით ადევნებდა თვალს სცენაზე მომხდარ ამბავს. ეს იყო რიჰარდ ზორგეს მეგობარი და თანამებრძოლი ისიი ჰანაკო.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ისიი ჰანაკო ესაუბრა მსახიობებს და რიჰარდ ზორგეს ცხოვრების ბევრი საინტერესო დეტალი მოუთხრო.

— ძალიან ძნელია ზორგეზე ლაპარაკი, — თქვა ისიი ჰანაკომ, — თვით კლაუზენიც კი, რომელიც ყველაზე ახლოს იყო ზორგესთან, ვფიქრობ, ბევრს ვერაფერს იტყოდა მის ბუნებაზე. ზორგეს ჰქონდა მკვეთრი მიმართება, სხვების დასანახავად ქედმოუხრელობით უხეშობდა, ერთი სიტყვით, ყოველთვის იმ კაცის მანერები ჰქონდა, რომლის როლის თამაშიც საერთოდ უხდებოდა. ოჯახში კი სულ სხვა იყო: წყნარი, მშვიდი, მოკრძალებული. ადამიანებისადმი მიმართ უზომოდ ყურადღებიანი და გულითადი იყო. მოხერხებულად და სიამოვნებით უვლიდა ავადმყოფ ამხანაგებს, სიცრუე ნაზი და სათუთი ადამიანი იყო. იშვიათად იცინოდა, ხოლო როცა საყვარელ მუსიკას უსმენდა ან ბავშვებს უყურებდა, სახე გაებადრებოდა. ძალიან უჭირდა, მაგრამ არავის არაფერს უჩივლებდა. ნამდვილი ვაჟკაცი იყო. ყოველგვარ ავადმყოფობას იოლად იტანდა, ძალიან ზრუნავდა თავის გარეგნობაზე, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ვინმეს თავს აწონებდა, არამედ იმისათვის, რომ კარგად ეთამაშა იმ ადამიანის როლი, — რომელიც თავს იდო.

ზორგე მშვენიერი, დიდად ნიჭიერი მსახიობი და მშვიდობისმოყვარე კაცი იყო.

სიკვდილის შემდეგ დიდხანს ვეძებე ზორგეს გვამი. ბოლოს, როცა მისი სხეულის ნაწილები ვიპოვნე და დავმარხე, თავი მშვიდად ვიგრძენი. მე და ჩემი მეგობრები, ზორგეს თანამებრძოლები, ყველა, ვინც ვიცნობდით და არ ვიცნობდით ამ დიდ ადამიანს, ვილოცებოდით უკვდავყავით ზორგეს სახელი. ახლა რიჰარდ ზორგეს ძეგლი აღმართულია და მას ცოცხალი ყვავილებით ამკობენ ბავშვები.

შეხვედრები, საღამოები

სამტრედიის სახალხო თეატრში მოეწყო ახალგაზრდობის შეხვედრა პოეტ ხუტა ბერულავასთან. შეხვედრა გახსნა სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორმა ლ. გაბოძემ. სიტყვები წარმოთქვეს და ლექსები წაიკითხეს შ. ჩიტიშვილმა, ნ. კობალეიშვილმა, მ. ჩოფგოლაშვილმა, ლ. ბარქაიამ, ს. მუმლაძემ, მ. სამხარაძემ. დასასრულ სიტყვა წარმოთქვა და ახალი ლექსები წაიკითხა ხუტა ბერულავამ.

• • •

კრწანისის წინდების ფაბრიკაში მოეწყო გივი გოგიჩაიშვილის რომანის — „გაზაფხულიდან გაზაფხულამდე" განხილვა. რომანის შესახებ ილაპარაკეს ლ. ქარჩავამ, ნ. ლეჟავამ, ლ. ფილიშვილმა, თ. ლეჟნაძემ, ზ. მიქაძემ, ხ. ხელელაშვილმა, ლ. რიგელიშვილმა, პოეტებმა ლ. სულაბერიძემ, ვ. გორგანელმა. დასასრულ სიტყვა წარმოთქვა და დაიწყო თავისი ახალი მოთხრობა წაიკითხა გივი გოგიჩაიშვილმა.

ხალხური სიმღერით შთაგონებული

ხალხური სიმღერის ოსტატმა თედო გოგუამ თითქმის ორმოცი წელიწადს გულში ატარა მომღერალთა გუნდის შექმნის სურვილი და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში აუსრულდა ოცნება.

ოცდათორმეტი წლის წინათ, ზუგდიდში გამართულ ხალხური სიმღერის სარაიონთაშორისო ოლიმპიადაზე, წარმატებით გამოვიდა ჩხოროწყუს სარაიონო გუნდი, რომელსაც თ. გოგუა ხელმძღვანელობდა. ამ პირველმა გამარჯვებამ გაამხნევა ხანმშიერი მგზნებარე და ზუგდიდ გამართა კონცერტები ფოთში, სენაკში, გალში, ოჩამჩირეში.

ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებულ თედო გოგუას სკოლის კარი არ უნახავს. წერა-კითხვა სოფლის სკოლის მოსწავლეებისაგან ისწავლა. მან ახალგაზრდობიდანვე შეიყვარა სიმღერა, უბრალო მუშა-მეურნეების ხალხური სიმღერების ათვისების დიდი უნარი გამოამჟღავნა.

თედო გოგუაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხური სიმღერის ამაგდარის ძუკუ ლოლუას გაცნობამ. ეს ცნობილი ლოტბარი, იმავე დროს ხალხური სიმღერის ინსტრუქტორიც იყო დასავლეთ საქართველოში. იგი ეძებდა და სწავლობდა ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს. ყველა ცოტად თუ ბევრად ცნობილ მომღერალთან კავშირი ჰქონდა, ბევრ მათგანს ასწავლიდა ხალხურ სიმღერებს, და ბევრისაგან თვითონაც სწავლობდა. იგი თედო გოგუასაც შეხვდა და სათანადო რჩევა-დარიგება მისცა. თედოს მრავალი ძველი ხალხური სიმღერა „გამოსტაცა" და რეპერტუარში შეიტანა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ცნობილი მომღერლები სამუელ ჩავლეიშვილი და ვარლამ სიმონიშვილი ზუგდიდში სიმღერის მასწავლებლებად მიიწვიეს. მათ დაუახლოვდა თ. გოგუა და გურული ხალხური სიმღერები ისწავლა. „მათთან დავყავი, თვეობით ვიყავი და თორმეტამდე გურული სიმღერა შევისწავლე" იგონებდა შემდეგ.

მონაწილეობით მონაწილეობდა თბილისის ოლიმპიადებში. 1937 წელს ჩხოროწყუს რაიონმა იგი თავისი გუნდით თბილისში, საქართველოს მეოთხე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მონაწილეობის მისაღებად გამოგზავნა. ოლიმპიადის ჟიურიმ მოიწონა გოგუას გუნდის მიერ შესრულებული სიმღერების სიუხვე, მათი ხალხურობა. განსაკუთრებით აღინიშნა მეგრული ნადური „ოდოია", რომელმაც მაყურებლის აღტაცება გამოიწვია.

თ. გოგუას, როგორც მომღერალს, დიდი ავტორიტეტი ახასიათებდა. იგი ნამდვილი მელოტბარე იყო. ხალხური სიმღერის ერთგული დაცვა იყო მისი დევიზი. მას მუდამ ახსოვდა ძუკუ ლოლუას რჩევა „ხალხური სიმღერები უფაქიზოდ შეინახე და მერყევ ხალხს მიაწოდე".

— დღესაც, მოხუცებულს, გული მაინც მიმღერის, და თუ სადმე ახალ რამეს ყურს მოვკრავ, დიდად დაინტერესდები, და ყველაფერს შევისწავლი, — ხშირად იტყოდა ხოლმე ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული, ორი წლის წინათ გარდაცვლილი, ამაგდარი ადამიანი.

ლადო გეგეჭკორი

„სიბრძნე სიცრუისა"

ამ დღეებში რუსთაველის სახელობის თეატრმა მაყურებლებს უჩვენა სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების მიხედვით შექმნილი ნ. ხატისკაცის პიესა „სიბრძნე სიცრუისა".

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორები არიან ნ. ხატისკაცი და თ. მაღლაფერიძე, მხატვარი — კ. იგნატოვა, კომპოზიტორი — ნ. მამისაშვილი, ქორეოგრაფი — ი. ზაუკა, კონსულტანტი — პროფ. ლ. ჯანელიძე. სპექტაკლის წამყვანი რეჟისორი — ლ. კაპანაძე, დადგმის სამხატვრო ხელმძღვანელია რესპუბლიკის სახალხო არტისტი არჩილ ჩხარტიშვილი.

როლებს ასრულებენ ახალგაზრდა მსახიობები: ს. ლალიძე, ი. გოგოშვილი, ნ. ფირანიშვილი, გ. ხარაბაძე, რ. ჩხაიძე, გ. პეტრიაძე, გ. ქავთარაძე, ნ. ფაჩუაშვილი, მ. თავაძე, გ. კიკნაძე, გ. გოგავა, ლ. მამულაშვილი, გ. მატარაძე, ტ. ყველაძე, მ. მამულაძე, ნ. გოძერძიშვილი, ლ. გუნთაძე და თ. გაბუნია.

• • •

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან.

ფოტო მ. როსტიაშვილისა.

ჟურნალები ივნისში

გამოვიდა ჟურნალ „მნათობის" მეექვსე ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია გ. ტაბიძის გამოუქვეყნებელი ლექსები, ლ. სულაბერიძის, ვ. ჭავახაძის და შ. რეხვიაშვილის ლექსები, რ. ჩხეიძის რომანი „კვერნაქი" (გაგრძელება), თ. გოდერძიშვილის მოთხრობა „კვირადღე", ა. ანტონოვის „შემოდგომის შეხვედრები" (თარგმანი მ. ავაიშვილისა) და ჟან-პოლ სარტრის „სიტყვები" (თარგმანი კ. ჭავრიშვილისა და ვ. ბუაჩიძისა), გ. ლეონიძის „ტალანტის ხიბლი", გ. გაჩეჩილაძის „პოეტური ოსტატობა და თანამედროვეობის ტენდენციები", პ. შამათავას „კაცი ცეცხლი და მამაცი", დ. მუსხელიშვილის „აკად. ნ. ბერძენიშვილი", მ. კვესელავას „ათასი ფერი ბრალდება" (გაგრძელება), ნ. ნიკოლაძის წერილები აკაკისადმი შ. გოზალიშვილის პუბლიკაციით, ლ. ასათიანის „უბის წიგნაკიდან", ალ. ღლონტის, ნ. კეშელაძის, ე. კვიტაიშვილის და შ. შათირიშვილის რეცენზიები.

• • •

გამოვიდა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" ივნისის ნომერი, რომელშიც მოთავსებულია საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მისალმება მიხეილ შოლოხოვისადმი, ირ. აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა"— (ლექსები ციკლიდან. თარგმანი ა. მეჟიროვისა), გრ. აბაშიძის მოთხრობა „ცხოვრება წინ არის" (თარგმანი ი. იავაშვილისა), ხ. ბერულავას ლექსები (თარგმანი ე. ნიკოლაევსკაიასი), ბ. ხეიდიანიძის მოთხრობა „ოსტატი მერაბი" (თარგმანი ლ. დოლიძისა და ა. მხითარიანისა), ალ. სოკოლოვის ლექსები, გ. ყიფიანის მოთხრობა „მთებში" (თარგმანი ა. ბესტაევისა), ზ. ლორთქიფანიძის ლექსები (თარგმანი ა. ფლეშინისა), ბ. ჟღენტის „საბჭოთა ლიტერატურის ურთიერთკავშირისა და ურთიერთგამდიდრების შესახებ", გ. მარგველაშვილის „პოეზია და რევოლუცია", ლ. ანტოპოლსკის „ნოველა მატვეევას მელოდიები," შ. რადიანის „შესანიშნავი ქართველი პუბლიცისტის მემკვიდრეობა", ე. ქოჩარის „ფუნჯის დიდი ოსტატი," ა. ტოლსტოის დღემდე უცნობი წერილი „რუსთაველის პოემის ახალი თარგმანის შესახებ", ალ. ქუთათელის „რუსთაველის პროსპექტი", თ. ჭანტურიაშვილის, მ. რუჭაძის და თ. აბრამოვას ნარკვევები. ჟურნალი აქვეყნებს ლ. გუდიაშვილის ნამუშევრების „მშვიდობის" და „მოდილიანი და მისი მოდელის" ფოტორეპროდუქციებს.

დანტე ალიგიერის ხსოვნის საღამო

თბილისი. პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსის, დიდი იტალიელი მწერლის დანტე ალიგიერის დაბადების შვიდასი წლისთავი.

დანტე ალიგიერის სახელი ძვირფასი და ახლობელია ქართველი ხალხისათვის. ამ სიყვარულის ზეიმად იქცა ხელოვნების მუშაკთა სახლში მოწყობილი საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების ლიტერატურული სექციის პრეზიდენტმა, პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ.

აკადემიკოსმა კონსტანტინე გამსახურდიამ თავის მოხსენებაში ილაპარაკა დანტე ალიგიერის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე და წაიკითხა „ღვთაებრივი კომედიის" საკუთარი თარგმანის ნაწყვეტები.

საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ და საბჭოთა კავშირ-იტალიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარემ ელდარ მაჭავარიანმა.

დასასრულ საღამოს მონაწილეებმა ნახეს ახალი დოკუმენტური იტალიური ფილმები.

ნახევარსაუკუნოვან გზაზე

ეს ორმოცდაცხრა წლის წინათ მოხდა. ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსწავლეებმა, სასწავლებლისავე შენობაში, სამხატვრო გამოფენა მოაწყვეს...

ქუთაისი იმთავითვე სახელგანთქმული იყო როგორც დიდი ლიტერატურული ტრადიციებისა და არტისტების ქალაქი, როგორც ქართული პრესის ერთ-ერთი კერა. აქვე მუშაობდნენ თვალსაჩინო ქართველი მხატვრებიც. მაგრამ სახვითმა ხელოვნებამ აქ დიდხანს, ძალიან დიდხანს ვერ იპოვნა სამკვიდრებელი. მიუხედავად ამისა, ცნობილია, რომ ქართულ მხატვრობაში აქედან მოვიდნენ გ. მაისურაძე, ვ. ბალანჩივაძე, ი. ნიკოლაძე, გ. მესხი, დ. კაკაბაძე, ნ. კანდელაკი, შ. მამალაძე, გ. პატარიძე, ი. ტოიძე, შ. მიქატაძე, რ. თავაძე, დ. თავაძე, პ. ოცხელი, ვ. მიზანდარი, კ. კიკნაძე, ტ. სიხარულიძე, მთელი პლეადა სამამულო ომის შემდგომ მოსული ნიჭიერი მხატვრებისა.

დღეს, როგორც ცნობილია, ქუთაისში საქართველოს მხატვართა კავშირის განყოფილებაც არსებობს და აქ სახვითი ხელოვნების მხატვრებიან შესანიშნავი და ნიჭიერი მხატვრები. ორმოცდაცხრა წლის წინათ კი გამოფენის მონაწილენი იყვნენ სახალხო არტისტი ა. ვასაძე, პროფესორი ვ. კალანდარიძე, დ. წერეთელი და სხვ..

დავით წერეთელი ამჟამად არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს სამხატვრო აკადემიის დოცენტი. ის წარმომადგენელია იმავე აკადემიაში აღზრდილი საბჭოთა მხატვრების პირველი თაობისა; აქ, თბილისის სამხატვრო აკადემიაში ენიჭება ხატვის სათაყვანებლობა და აქვეა განვლილი [illegible] გზა, რაც ამ ხნის მანძილზე განვლო საქართველოს ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ. დავითი, ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობასთან ერთად, წარმატებით მოღვაწეობდა და მოღვაწეობს ახალგაზრდობის აღზრდისა და მომზადების საქმეში.

დავით კონსტანტინეს ძე წერეთელი დაიბადა სოფელ ჭოგაში, 1896 წლის 14 ივლისს, წერა-კითხვა გიორგობიანების კერძო სკოლაში შეისწავლა, შემდეგ კი რეალური სასწავლებლის მოსამზადებელ ჯგუფში ჩაირიცხა. სურვილი წერას მას აქ მიხეილ ჭიჭინაძე ასწავლიდა, ხატვას კი — გ. კოროტკოვი. იმ დროს რეალურ სასწავლებელში ხატვის სახელოსნოც არსებობდა. ამ სასწავლებელში დავითი დიდხანს არ დარჩენილა, უსახსრობის გამო მშობლებმა სამოქალაქო სასწავლებელში გადაიყვანეს. იგი დავითმა 1911 წელს დაამთავრა.

1915 წელს დავითი სასწავლებლად შევიდა სათავადაზნაურო გიმნაზიაში. აქ მას დიდ მფარველობასა და დახმარებას უწევდა ცნობილი ქართველი პედაგოგი იოსებ ოცხელი. 1918 წელს დავითმა სწავლას თავი დაანება და ტრადიციით მოწვევით ქუთაისის ქალთა ეპარქიულ სასწავლებელში ხატვის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. 1919 წელს კი, როგორც ტოიძესთან ერთად სასწავლებლად თბილისში გადავიდა. იგი აქ ცხოვრობდა მხატვრებთან ერთად [illegible] და დავით დოლიძესთან ერთად. დრამატურგ ნ. შენგელაიას დახმარებით მუშაობა დაიწყო მხატვრის თანაშემწედ ქართული დრამის თეატრში.

დ. წერეთელი 1922 წლის 22 მაისს, საქართველოს სამხატვრო აკადემიის გახსნის პირველივე დღეს, აკადემიის სტუდენტად ჩაირიცხა. იგი ჯერ ცნობილი ქართველი მხატვრის, პროფესორ გ. გაბაშვილის სახელოსნოში სწავლობდა, შემდეგ კი აკადემიკოს ე. ლანსერესთან. 1929 წელს დავითმა აკადემია დაამთავრა და იქვე იქნა დატოვებული ასისტენტად პროფესორ ი. შარლემანთან. აკადემიაში დავითი მუშაობდა აგრეთვე ქართული ფერწერის დიდოსტატთან, დავით კაკაბაძესთან. 1933 წლიდან დავითი უკვე თვითონ ასწავლის ხატვას III, IV და V კურსებზე. 1940 წლიდან მას დოცენტის წოდება მიენიჭა. დ. წერეთელმა თავისი პირველი ნახატები პირველად ქართველ მხატვართა 1918 წლის გამოფენაზე წარმოადგინა. ამის შემდეგ ქართველ მხატვართა თითქმის ყველა გამოფენაში მონაწილეობდა. დავითის სურათები დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, სურათების გალერეასა და რესპუბლიკის სამხარეთმცოდნეო მუზეუმებში. მისი პირველი პერსონალური გამოფენა 1944 წელს მოეწყო თბილისში.

დ. წერეთლის მეორე პერსონალური გამოფენა ახლახანს ქუთაისში გაიხსნა. აქედან კი თბილისსა და სხვა ქალაქებში გადავა.

მხატვარი ამ გამოფენაზე აჩვენებს თითქმის მთელ თავის შემოქმედებით გზას: ეს თითქოს ერთგვარი ანგარიშია, გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები ისე ჩანს, თითქოს ისინი მხატვრის დღიურის ფურცლები იყოს. გამოფენის პირველი ნაწილი შესანიშნავად ასახავს სამხატვრო აკადემიაში მხატვრის ცხოვრებასა და ამ დროის შემოქმედებას. აქ ყურადღებას იქცევს მისი თანაკურსელების შ. მამალაძის, დ. [illegible], ე. ახვლედიანი-თავაძის, ა. მოდებაძის, ტოიძის და სხვათა პორტრეტები. მხატვრის ამ პერიოდის გალერეიდან პორტრეტი რაც ღირს! იგი ერთგულია ამ ტრადიციისთვის.

გამოფენაზე აგრეთვე მთლიანად წარმოდგენილი პლასტიკური სერიები, თანამედროვეთა ცხოვრების ამსახველი ჟანრული კომპოზიციები. შესანიშნავი და ლაღი პოეტური განწყობილებით სავსე ქართული პეიზაჟები მუსიკალურია, ფერადოვნებით და მელოდიურობით. აქვეა მისი ცალკე მიძღვნილი საქართველოს სხვადასხვა მხარეებისადმი.

ყურადღებას იქცევს სამამულო ომის მონაწილეთა და ხელოვნებისა და მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტები.

გამოფენა გვიჩვენებს, რომ დ. წერეთელს თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი ქართული საბჭოთა ფერწერისა და ქართული საბჭოთა სამხატვრო სკოლის, როგორც სამხატვრო ცხოვრების განვითარებაში.

მხატვრის მთელი შემოქმედება განმსჭვალულია თავისი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულითა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

შალვა კვასხვაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ჟურნალი და — [illegible]

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სექციამ მოაწყო ჟურნალ „პიონერის" მიმდინარე წლის ნომრების განხილვა. მოხსენება წაიკითხა ნ. ჭუმბურიძემ. სიტყვები წარმოთქვეს ხ. ბერულავამ, რ. კორძაიამ, ლ. ბუჩუკურიძემ, ქ. ჭილაშვილმა, დ. ვადაჭკორიამ, ჯ. გოგოლაძემ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. შეტრეველმა და სხვ. ორატორებმა დადებითად შეაფასეს ჟურნალის მუშაობა, აღნიშნეს მისი დიდი როლი მოზარდი თაობის სულიერ აღზრდაში და გამოთქვეს ცალკეული შენიშვნები.

ჟურნალ „პიონერის" რედაქტორმა ბ. შელიამ გაიზიარა შენიშვნები და დამსწრეებს გააცნო ჟურნალის მომავალი მუშაობის გეგმები.

• • •

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სექციის სხდომა, რომელიც ჟურნალ „დილის" 1965 წლის ნომრების განხილვას მიეძღვნა, შესავალი სიტყვით გახსნა სექციის ბიუროს თავმჯდომარემ ხ. ბერულავამ. მოხსენება წაიკითხა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. ილენიამ.

კამათში გამოსულმა მწერლებმა რ. კორძაიამ, გ. კაკაბაძემ, ლ. ქიქინაძემ, ნ. ჩხეიძემ, ტ. ჭანტურიამ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ბ. დობორჯგინიძემ, დ. ვადაჭკორიამ, ი. ნონეშვილმა თავიანთი აზრი გამოთქვეს ამ ჟურნალის ღირსებაზე და მიუთითეს ნაკლზეც. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ ჩვენი უფროსი თაობის მწერლებთან ერთად რედაქციამ შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლები.

ჟურნალ „დილის" მუშაობის შესახებ ილაპარაკა ჟურნალის რედაქტორმა ჯ. ჩარკვიანმა.

„პრერის მელა"

ტელეფონის ჯიხურთან ჭაბუკები იდგნენ.

— დღეს ძალიან ცხელა, — თქვა ერთმა. მას ოთარი ერქვა.

— თუ ასე გასტანს, თბილისში გაჩერება აღარ შეიძლება, — თქვა მეორემ. მას გივი ერქვა.

მოშორებით მშვენიერი ლიმუზინი გაჩერდა. ლიმუზინიდან ორი მამაკაცი გადმოვიდა. უცხოელები იყვნენ. მიმოიხედეს, ეტყობა რაღაცას ეძებდნენ.

— ვერ მიგვასწავლით მინერალური წყლების ფარდულს? — ინგლისურად ჰკითხეს ოთარსა და გივის.

— როგორ არა, — ინგლისურადვე უპასუხეს ბიჭებმა.

— ოჰ! — გაიკვირვეს უცხოელებმა. ჩვენი ენა გცოდნიათ.

— კი. ინგლისური ენის ფაკულტეტს ვამთავრებთ.

მინერალური წყლების ფარდული არც თუ ისე შორს იყო, მაგრამ ურთიერთგაცნობისათვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა. უცხოელმა დაასახელა თავისი ვინაობა: ჯეკ უინსტონი, ამერიკელი, სოციოლოგი. მეორე, ტანად მომცრო მამაკაცი არაბი გახლდათ, გვარად აბდულ რაჰმანი. მან თქვა, რომ უინსტონი მოგზაურობის დროს გაიცნო.

ბორჯომი დალიეს, ფული ოთარმა გადაიხადა.

— ო, ეს როგორ შეიძლება, — იწყინეს უცხოელებმა, — მაგრამ ვალში არ დავრჩებით.

— ქალაქს გაგვაცნობთ, — თქვა არაბმა.

— ან სადმე სოფელში, ჩვენ ხომ მანქანა გვაქვს, — მიემხრო უინსტონი.

— არა... — იუხერხულეს ბიჭებმა.

— ნუ დაგვწყვეტთ გულს, წავიდეთ. ყოველგვარ ხარჯებს ჩვენ ვისრულებთ. თუმცა იქნებ გერიდებათ უცხოელებთან გასეირნება, ან გეშინიათ, — თქვა ჯეკმა.

— როგორ გვაკადრებთ! — შეესიტყვა ოთარი, — უბრალოდ ახლა ჩვენ სხვა საქმე გვქონდა, თქვენ კი ამას ხარჯებს უკავშირებთ.

— ვრცელი ხარჯები არ უნდა შეგაშინებინა.. — თქვა ამერიკელმა. — გეხვეწოთ, ბატონებო... ბატონებო, ეს შეცდომა იმასაც მოწმობს, რომ აუცილებელია გავეცნოთ თქვენი ეროვნული სიამაყის კომპონენტები იქნება. ჩემი მეგობრის სტუმართმოყვარეობას ხელს არ შეუშლის.

ოთარი წამით ჩაფიქრდა.

— თქვენ მართალი ბრძანდებით. გავემგზავროთ, საითაც გინდათ.

— წინანდალში წავიდეთ. იქ მამიდა მყავს, — დაუმატა გივიმ.

უცხოელები გამხიარულდნენ.

გივიმ მეზობლის ბიჭს მოჰკრა თვალი და შინ სიტყვა დააბარა, მამიდასთან მივდივარ წინანდალშიო.

გზა კახეთისაკენ აიღეს.

ქალაქს გასცდნენ თუ არა, საჭესთან მჯდარი ჯეკი ლაპარაკად გაიკრიფა: — ჩემი ხანდაზმული ბიძა ვილი უინსტონი მრავალმილიონიანი გასტრონომიული მაღაზიის პატრონია, ორი წლის წინათ დაქორწინდა მასზე ძალიან ახალგაზრდა, ლამის კაფეს მომღერალ ქალის მარგარეტზე. ქმრის ნათესავები მტრულად შეხვდნენ მისის მარგარეტის ბედნიერებას, ვერ აიტანეს მისი ცელქი რეპუტაცია. მათი გულის მოსაკლავად მისის მარგარეტი ფუფუნებაში ჩაეფლო. ისე იქცეოდა, როგორც მოეპრიანებოდა. თავისი ხელით მიხატა ესკიზი და დაამზადებინა ეს ექსტრავაგანტური ლიმუზინი. ნათესავები ფიქრობდნენ, რომ მისის მარგარეტმა თვალთმაქცურად შეიყვარა თავი ბიძაჩემს და ამიტომ მას „პრერის მელა" შეარქვეს. არაკეთილმოსურნეთა გამოსაჯავრებლად მისის მარგარეტმა პრერის მელის პატარა ემბლემა ჩამოასხმევინა და მანქანის ცხვირზე ფრთაზე დაამაგრებინა. ამის შემდეგ შეერქვა მანქანას ასეთი სახელი. მისის მარგარეტი ქმრის თვალებში შესცქერის, ცდილობს რაც შეიძლება ასიამოვნოს. აქ წამოსვლის წინ ბიძამ ფული მომცა. მისის მარგარეტმა — კი თავისი სურვილით, წარმოიდგინეთ, თავისი სურვილით „პრერის მელა" დამითმო. ბათუმში გემით გამომიგზავნა.

დასასრულ ჯეკმა თანამგზავრებს აცნობა, „პრერის მელის" სიჩქარე 150 მილია.

უცებ, თითქოს საბურავები ასფალტს ასცდაო, მანქანა წინ გაიჭრა, გაცურდა, ჩაიჭრიწა მოსახვევი და დაღმართზე მოწყვეტით შეჩერდა.

ჯეკმა მგზავრების სახეზე შემოუთვალა აშოთება. ჩამოვიდა მანქანიდან და მექანიზმებს დაუწყო კირკიტი.

ხუთიოდე წუთში გაირკვა. იმავე წამიერი თვალებით ცისფერმა „ვოლგამ" გამოიჭრა. ჯეკმა მას თვალი დააფრინა.

— აქაც არანაკლებ დაქროლავენ მანქანებს, — ჩაილაპარაკა.

ჯურხაია და ოთარს შუა „პრერის მელამ" კიდევ შეასხა ფრთები, გრძელი აღმართი გადიხრიალა და ისევ მოულოდნელად გაჩერდა.

გაუშვირდა ქვეშ მელას. სად შეიძლება თავი?!

ბოლოს, როგორც იქნა, წინანდალში ჩავიდნენ.

„პრერის მელა" კოინდრით მოხატულ ეზოში შევიდა.

— ეს უცხო სტუმრები არიან, ვასო, ასე გაუფრთხილებლად რატომ მოიყვანე. — იუხერხულა მამიდამ. მერე სტუმრები შინ შეიპატიჟა.

სახელდახელო სუფრა გაშალეს.

უცხო სტუმრების მოსვლა სოფელში შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

ახალგაზრდებსა და ახლობლებს გარდა სუფრას უსხდნენ სოფლის ყველაზე უხნესი პაპა თედორე და მეზობლის ოჯახში საიდანღაც „დასასვენებლად" ჩამოსული, ნასტუდენტარი ფერიდა, რომელიც „ჰარდად" გაიხვეოდა.

პაპა თედორემ დალოცა დიდი და პატარა დიასახლისები, ომში დაღუპული ოჯახის მამა მოიხსენია. ქალის მწუხარებამ აბდულის მხიარული განწყობილება საგრძნობლად შეცვალა, მის თვალებში თითქოს ნაღვლიანობა დაისადგურა.

— რომელია უცხოელთაგან ასაკით უფროსი? — იკითხა პაპამ.

— ამერიკელი, ჯეკი, — უპასუხა გივიმ.

— ბატონო ჯეკ! — მიმართა პაპამ და ყანწი მოიმარჯვა, — ქართველებს სტუმარი ზეცით მოვლენილად მიგვაჩნია. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! ბევრის მომსწრე ვარ და ცხოვრების გამოცდილება მალაპარაკებს, რომ მოსვლა-მოსვლა ადამიანებს ამეგობრებს... დედამიწის ზურგზე ყველა ადამიანს სიყვარულს, მეგობრობას, მშვიდობას ვუსურვებ...

ჯეკი მრავალმნიშვნელოვნად დაიღუღუნა. ფერიდაც. ჯეკმა მანქანიდან მაგნიტოფონი ამოიტანა და ხმამაღალი ჯაზური მუსიკით აავსო.

ჯეკმა ყანწი შემართა:

— ბატონებო, დიდად მადლიერი ვარ გულითადი მიღებისათვის. პოეტი უნდა ვიყო, რომ სრულად ავღწერო თქვენი ტრადიციისა და წესის შთაბეჭდილებები. სოციოლოგობა, რისთვისაც მე ვცხოვრობ, ამას ვერ უშველის... პატივისცემა, რასაც თქვენ ჩემდამი იჩენთ, მთლიანად მივაწერ მშობლიურ, მშვიდობიან და ერების ძმობის ამერიკას — ჩემს სამშობლოს! გაუმარჯოს მამულს, ბატონებო!

ჯეკი ვითომდა ყოჩაღობდა, მაგრამ მისი ხელი ნაღვლიანად იყო მორჩილი. ისევ ყანწი ვერ მოეწერინებინა, არც არავინ ჩამოართვა.

— ერების ძმობას! — ფეხზე წამოიჭრა შეზარხოშებული აბდული. — 1956 წელს ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი თავს რომ დაესხნენ ჩვენს ახალგაზრდა რესპუბლიკას, ამერიკა მათ ეხმარებოდა. მაშინ პორტ-საიდში მამა მომიკლეს...

ჯეკმა ყური მოიყრუა. მასპინძლებმა თანაგრძნობით შეხედეს აბდულს.

მეორე დილას, გამგზავრების წინ ჯეკმა მარიხა და ქალებს ნეილონის ქათქათა კოფთები მიართვა. მაგრამ გივის რჩევით, დედა-შვილმა არასრული ადგილობრივი ჩვევა დაიბრუნეს და საჩუქარზე თავაზიანად უარი უთხრეს.

წინანდლიდან გასვლისას ჯეკმა ახალი იდეა წამოაყენა:

— ქალაქური ბანკეტის გამართვა მეგობრობის ყველა ერის ჩვეულებაა! ხვალ, მთაწმინდის რესტორანში გიწვევთ თქვენ და თქვენს ახლობელ სტუდენტებს, ჯგუფელმეგობრებს და ლექტორებს, მეგობრებსა და მეგობრებს. ბევრიც გვყავს ჩამოვა. ბანკეტზე გადმოგცემთ უნიკალური საჩუქარი თქვენი უცნობი თანამოძმისაგან.

— ვინ არის და რა საჩუქარი გამოგვიგზავნა? — იკითხა გივიმ.

— ვინ არის, გეტყვით, რა საჩუქარია — ბანკეტზე ნახავთ! — ეშმაკურად ჩაუკრა თვალი ჯეკმა — თქვენი თანამოძმე ჯორჯ ჯიბიძე, ჩემი მეგობარი, ერთ უნივერსიტეტში ვსწავლობთ, ოღონდ მან ფილოლოგია იცის. ნამდვილი გვარია — ჯიბაშვილი; მამამისი 1920 წელს გადასახლებულა ამერიკაში. ქართული ენა ზედმიწევნით კარგად იცის.

— მისტერ ჯეკ, ნუ გვეხუმრებით ცნობისმოყვარეობით, — მოუთმენლობდა გივი. — გვიჩვენეთ საჩუქარი! მოწვეულ მეგობრებს დავუმალავთ სიურპრიზს, სანამ თქვენ არ ისურვებთ გამჟღავნებას.

ჯეკი დიდხანს ჯიუტობდა.

ბოლოს ბიჭებმა დაიყოლიეს.

— ჯიბმა ინგლისურ ენაზე თარგმნა თქვენი კლასიკოსის მოთხრობა და ავტოგრაფით გიძღვნით ქართველ სტუდენტობას. ნება მომეცით მანქანა სადმე ჩრდილში მივაყენო, წიგნს გაჩვენებთ.

ოთარი და გივი უკან მიიტოვა „პრერის მელამ". ხეების ჩრდილში შეიყვანა, ჯეკმა საბარგო ნაწილიდან ცისფერყდიანი წიგნი ამოიღო. სატიტულო ფურცელზე კალიგრაფიული ხელით გამოყვანილი იყო ქართული წარწერა: „ქართველ სტუდენტებს! უცხოეთში გადაკარგული ძმისაგან — სავლე ჯიბაშვილისაგან".

გივიმ და ოთარმა წიგნი თავიდან ბოლომდე გადაათვალიერეს და ყურადღება მიაქციეს ბოლოს, სარჩევიან ფურცელზე, სადაც ნათქვამი იყო, რომ თარგმანი შესრულებულია არა ვარიანტად.

— სახლში რომ მივალთ, წავიკითხავთ, — თქვეს გივიმ და ოთარმა.

„პრერის მელა" კვლავ გზას დაადგა. გზაზე კიდევ გაჩერდა რამდენჯერმე. მელას რაღაც ეშმაკი ჩასჯდომია გულში და ფეხს არ აცვლევინებდა. გზად შემხვედრი მანქანის შოფერი მოეხმარათ, ხშირი უკირკიტეს, ძლივს დასძრეს ადგილიდან.

ქმნული „პრერის მელა" ჭაჭანითა და წვალებით ძლივს შემოვიდა თბილისში.

მართლა გემით სატარებელი ყოფილა — ჩაილაპარაკა აბდულმა.

შინ მისულმა გივიმ და ოთარმა წაიკითხეს ნაჩუქარი წიგნი. მისი მეორე ვარიანტი ამგვარად შეეცვალა სტუდენტთა შორის იდეოლოგიური დივერსიის ცდას.

...სასტუმროს ოთახში, სადაც ჯეკი ცხოვრობდა, მაგიდაზე იდო წინა დღეს მის მიერ გაჩუქებული წიგნი. „ჩვენ არ ვაპირებთ ასეთ სიმრავლეს, ჯობს იქ თქვენს ბიბლიოთეკას უფრო გამოადგეს" — ერთიორი სიტყვა ეწერა წიგნში ჩადებულ ბარათში.

ჯეკის დათქმული ქალაქური ბანკეტი არ შემდგარა.

„პრერის მელის" მუცელში ჩაწყობილი წიგნებიც დაურიგებელი დარჩა.

ამერიკელი თავის ნივთებს ჩემოდანში აწყობდა და ნატრობდა — ნეტავ ზღვა ახლოს ყოფილიყო, რომ „პრერის მელა" ახლავე გემზე მოეთავსებინა.

დავით გუგუნავა

ახალი წიგნები



„სოვეტსკი პისატელი"

ოთარ შალამბერიძე — ჩემი სილურჯე. წიგნში შეტანილია ლირიკული ლექსები და ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი. ლექსები თარგმნეს ე. სიკორსკიმ და ნ. ალიმგუროვამ. რედაქტორი — ე. ელისეევი, მხატვარი — ი. რიჩტოვსკი. გვ. 84, ფასი 10 კაპ.

„საბჭოთა საქართველო"

გივი გამრეკელი — გუნდები და „ვარსკვლავები". რედაქტორი — გ. კებლიშვილი, მხატვარი — ს. ცინცაძე. გვ. 167, ფასი 21 კაპ.

„ლიტერატურა და ხელოვნება"

სალვატორე ქვაზიმოდო — ლექსები. თარგმნა იტალიურიდან მ. ქვლივიძემ. წიგნში შესულია პოეტის რჩეული ლექსები. რედაქტორი — მ. ფიცხელაური, მხატვარი — თ. სამსონაძე. გვ. 45, ფასი 9 კაპ.

„მეცნიერება"

სერგო თურნავა — თანამედროვე ფრანგული ლიტერატურა. რედაქტორი — ლ. ფანჩულიძე. გვ. 117, ფასი 47 კაპ.

„ნაკადული"

რევაზ ჯაფარიძე — ბუნებაულის სამრეკლო. რედაქტორი — ლ. [illegible], მხატვარი — ჯ. ლოლუა. გვ. 176, ფასი 45 კაპ.

გიორგი ნიჟარაძე—სიყვარული. რედაქტორი — დ. სტურუა, მხატვარი — თ. სამსონაძე. გვ. 283, ფასი 67 კაპ.

ქ. გოგიაშვილი — პაპა გოგო. (ლექსები და პიესები). რედაქტორი — ნ. არჩვაძე, მხატვარი — ედ. ამაშუკელი. გვ. 76, ფასი 20 კაპ.

ვასილ გვეტაძე — თეთრი კარვები. (ლექსები). რედაქტორი — შ. ნიშნიანიძე, მხატვარი — ჯ. ლოლუა. გვ. 58, ფასი 11 კაპ.

მონტეირუ ლობატუ — ყვითელი კოდალას ორდენი. რედაქტორი — ლ. ქადაგიშვილი, მხატვარი — ი. ალფაიძე. გვ. 318, ფასი 99 კაპ.

ანე კატერინე ვესტლი — მამა, დედა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა. თარგმანი ლ. გოგიშვილისა. რედაქტორი — ლ. თურმანიძე, მხატვარი — ბ. მაკეევი. გვ. 133, ფასი 32 კაპ.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.
სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ნ. გურეშიძე, გ. ლეონიძე, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი, ერ ქარელიშვილი, ს. ჩიქოვანი, თ. ჯანგულაშვილი, უ. ჯაფარიძე

ИНДЕКС 60119 რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის 9-34-04, პასუხისმგებელი მდივნის და განყოფილებების 9-67-10, საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე03691